


ეროვნული ბიბლიოთეკა
572
2004



**გამარჯობა, ჩემო ძვირფასებო!**

ასი წლის საბავშვო ჟურნალის სახელით მოგესალმებით!

მართლაც, რა დრო გასულა – მთელი ასი წელი!

ასი წელი ერთი საუკუნეა და, ჩვენ აწ უკვე, საუკუნის გამოცემა ვართ!

ამ ასაკის საბავშვო ჟურნალი ჩვენს ქვეყანაში ერთადერთია!

გიხაროდენ, ბავშვებო!

რასაკვირველია, გვიხარია ჩვენც, დიდებსაც, – განსაკუთრებით კი მათ, ვისაც წილად გვხვდა ბედნიერება, ამ დროს, ამ მშვენიერი ჟურნალის თანამშრომლები ვყოფილიყავით!

მთელი ასი წლის განმავლობაში, ყველა დროის თანამშრომელს, ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა – დროებითაც არ გაწყვეტილიყო ის ისტორიული ციკლი, ჟურნალ „დილას“ გამოცემას საფრთხეს რომ შეუქმნიდა! არადა, ჟურნალიც იმავე ცხოვრებით ცხოვრობდა, როგორც თავად ჩვენი ქვეყანა.

ხშირად უჭირდა, იშვიათად ულხინდა, უფრო ხშირად სასოწარკვეთისა და იმედის გასაყართანაც მდგარა!

და, მიუხედავად ამისა, მაინც – ასი წლის განმავლობაში ჟურნალმა შეძლო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა თაობის ბავშვებისათვის სულიერი ტაძრის აშენება!

ეს ტაძარი საუკუნის განმავლობაში შენდებოდა, საშენ მასალად კი ჟურნალ „დილასა“ და მის მიერ დასტამბულ საყმაწვილო წიგნებს იყენებდა.

და, რაოდენ საამაყოა, ასი წლის თავზე ჟურნალი „დილა“, ჩვენი ქვეყნის ყველა დროის მომავალი თაობისათვის, მარადიული ჯეჯილობისა და სულიერი დაპურების უპირველეს სიმბოლოდ რომ იქცა!

ღმერთო! კვლავაც გააძლიერე ჟურნალი „დილა“! კიდევ უფრო ამრავლე მისი პატარა მკითხველი!

მე კი, მადლობას გწირავ, უფალო, ამ უკვდავი ჟურნალის ისტორიის გარკვეულ მონაკვეთზე, მისი რედაქტორობა რომ მარგუნე წილად!



**P. S.**

**გაივლის კიდევ 100 წელი და, ჩვენი მომავალი კოლეგები კვლავაც აღნიშნავენ ჟურნალ „დილის“ 200 წლისთავს!**

**ისინიც ისეთივე ბედნიერები იქნებიან მაშინ, როგორც ჩვენ ვართ დღეს! ამიტომ თავს უფლებას ვაძლევ, ჟურნალის ახლანდელ და მომავალ თანამშრომლებს ერთი და იმავე კითხვით მივმართო:**

**– რა არის თქვენთვის ჟურნალი „დილა“?**

**თავისთავად იგულისხმება, რომ ახლანდელი თანამშრომლების პასუხებს ამავე ნომერში წავიკითხავთ, ხოლო დღევანდელ ჩვენ შეკითხვას 100 წლის შემდეგ რომ პასუხი გაეცემა, იმასაც, ცხადია, თავის მკითხველი გამოუჩნდება.**

**მოკითხვას კი ჩვენს მომავალ კოლეგებს აქედანვე ვუთვლით!**

**და, ვინ იცის, იქნებ, იმ დიად იუბილეზე, რომელიმე კეთილმა კოლეგამ, ჩვენი ხსოვნის სადღეგრძელო წარმოთქვას, ანუ იმ ადამიანების მოგონების სადღეგრძელო, ვინც დღეს, ასე ბედნიერები, 100 წლის ჟურნალის საიუბილეო ნომრის მომზადებაზე ვმუშაობთ!.. ძვირფასო კოლეგებო, შორიდან გითვლით სალამს და სიყვარულით მოგიკითხავთ!**

**უფალო! გაბრწყინებულ, ბედნიერ საქართველოში ეცხოვროთ იმდროინდელ ქართველობას!**

ლოლო წივწივაძე

# ეკლესია – ღვთის სახლი

ნანა ჩარკვიანი

## სამშობლო



პატარაობისას ყველას გვისწავლია და თანაც მონდომებით გვითქვამს ხოლმე ლექსი: მე პატარა ქართველი ვარ... ხომ გახსოვს – ...ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო.

გიფიქრია, რას ნიშნავს შენთვის სამშობლო? რატომ ღვრიდნენ ამდენ სისხლს მის დასაცავად, განა ღირს მიწა იმად, რომ ადამიანმა ყველაზე ძვირფასი, რაც კი გააჩნია – სიცოცხლე – მას შესწიროს?

მოდი, ამაზე ვისაუბროთ.

დიახ, სამშობლო მიწაა, სადაც ჩვენი სახლი დგას, სადაც ჩვენი მშობლები ცხოვრობენ, სადაც ჩვენი წინაპრები ერთად აშენებდნენ სახლებსა და ციხესიმაგრეებს, ერთად იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ, ერთად მღეროდნენ, ერთად ლოცულობდნენ. ესე იგი სამშობლო მხოლოდ მიწა არ არის, ეს არის ერთად ცხოვრების სიხარული.

მართლაც, ადამიანებს არ მოსწონთ მარტო ყოფნა, აბა, რა მოსაწონია – დადიხარ მარტო ტყეში, მინდორში ან მთაში და არავინ გელოდება სახლში, არავინ ზრუნავს შენს თბილად ჩაცმაზე, რომ არ გაცივდე, არავინ გიკითხავს წიგნებს, არავინ გეთამაშება. ამიტომაც ცხოვრობენ ადამიანები ოჯახებად, სამეგობროებად, სანათესავოებად, სოფლებად, ქალაქებად, სამშობლოებად.

ოჯახის წევრები, მეგობრები, ნათესავები არა მხოლოდ ერთად, არამედ ერთმანეთისთვის ცხოვრობენ, ზრუნავენ, პატრონობენ, იზიარებენ ერთიმეორის წუხილს და ლხინს. რამ გაგვაერთიანა ამდენი უცხო და სხვადასხვანაირი ადამიანი ერთ საქართველოდ? მხოლოდ სისხლით ნათესაობამ? მხოლოდ ლამაზმა ხედებმა?

აი, რას ამბობს ქართველი მოღვაწე გიორგი მერჩულე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორი: ჩვენი სამშობლო არის ქვეყანა, სადაც „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა აღესრულების“. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ქართულად ვასრულებთ წირვა-ლოცვას და ეს გვაქცევს ქართველებად. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ საკუთარ ენაზე ვმადლობთ ღმერთს და ვწირავთ მსხვერპლს.

წირვას ბერძნულ ენაზე ევქარისტია ჰქვია და სამადლობელს ნიშნავს. ჩვენ იმიტომ ვუხდით მადლობას ღმერთს, რომ მოგვცა სიცოცხლე და გვასწავლა სიყვარული. სიყვარული არ არის რაღაც ზოგადი სიტყვა. ის ძალიან ხელშესახებია. ეს ნიშნავს არა საკუთარი თავის, არამედ სხვა ადამიანის პატივისცემას, მის დახმარებას, მისთვის ლუკმის განაწილებას, მისთვის სიხარულის მინიჭებას. ქართული სიტყვა წირვა ნიშნავს ყველაზე დიდ სიყვარულს, რაც კი ადამიანს შეუძლია – სხვისთვის თავის გაწირვას. ეს არ ნიშნავს მხოლოდ სხვისთვის სიკვდილს, უპირველესად ეს ნიშნავს სხვისთვის სიცოცხლეს.

ქრისტიანული წირვა-ლოცა სწორედ ასეთი სიცოცხლის, ასეთი სიყვარულის სწავლაა. უპირველესი მაგალითი ამისა თვითონ იესო ქრისტემ მოგვცა. ის ჩვენთვის ჩამოვიდა ზეციდან მიწაზე, ჩვენთვის მოკვდა და ჩვენთვის აღდგა მკვდრეთით.

ღმერთის სიყვარული საქართველოსადმი გამოიხატება იმაში, რომ ჩვენი ქვეყანა უფლის დედის, ღვთისმშობლის წილხვედრია. ეს ნიშნავს, რომ, სწორედ მას ხვდა წილად საქართველოში საქადაგებლად ჩამობრძანება. ამიტომ, დედა ღვთისა განსაკუთრებით მზურნველობს ჩვენზე.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს სიყვარული უპასუხოდ არ დაუტოვებიათ ქართველებს. მთელი საქართველოს ისტორია, ასიათასობით მოწამე, ეკლესია-მონასტრები, ხატები და საგალობლები – ეს არის პასუხი ქრისტეს სიყვარულზე.

მოწამეები ის ადამიანები არიან, ვინც არა მხოლოდ ტანჯვა და წამება დაითმინა ქრისტესთვის, არამედ საკუთარი სიცოცხლით, საკუთარი სისხლით დაამტკიცა ქრისტესადმი ერთგულება.

ჩვენი შემდეგი საუბრები გვინდა სწორედ ამ ადამიანებს მივუძღვნათ, ვისთვისაც სამშობლო ქრისტესთვის და ერთმანეთისთვის ცხოვრების სიხარული იყო.

ბევრი თანამედროვე ერი ამაყობს თავისი სიმდიდრით თუ მეცნიერული მიღწევებით – მოცეკვავე რობოტებით თუ კოსმოსში გაგზავნილი ხომალდებით, ჩვენ კი შეგვიძლია ვიამაყოთ ჩვენი სარწმუნოებით, რომელიც არა მარტო წინათ, ახლაც ცოცხალია, რომელსაც შეუძლია მოგვცეს ყველაზე საოცარი ყველაზე დიდი რამ – სიყვარულის და თავგანწირვის ძალა. სწორედ ასე შეიძლება სიკეთის კეთება, ასე შეიძლება სამშობლოს ცხოვრებაში მონაწილეობა. ეს მხოლოდ დიდების საქმე არ არის. ეს შენც შეგიძლია. და აი, ახლა, ყველაზე დიდი რამ, რაც შენი სამშობლოსთვის შეგიძლია გააკეთო, ეს არის ლოცვა, არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის და ახლობლებისთვის, არამედ სამშობლოსათვის.



## ლოცვა

აცხოვნე უფალო, ერი შენი, და აკურთხე სამკვიდრებელი შენი. ძლევა ჯვარითა ბარბაროზთა ზედა ღვთივდაცულსა ერსა ჩვენსა მიანიჭე და საფარველსა ქვეშე მისსა დაიცევ, რათა ვიტყოდეთ — უფალო, დიდება შენდა. ამინ!



განმარტებები:

**აცხოვნე** – მარადიული სიცოცხლე მიანიჭე

**აკურთხე** – დალოცე, ღვთის ძალა მიეცი

**სამკვიდრებელი** – სამყოფელი

**ძლევა** – გამარჯვება

**ბარბაროზნი** – უსჯულო, ულმერთო ადამიანები

**საფარველსა ქვეშე** – შენი მფარველობის ქვეშ

მხატვარი მაკა ჩხაიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზია ჩხეტიანი

# დღე იწმინდება

ღრუბელს შევყურებთ ფერადსა,
ქარმა რომ არივ-დარია,
– მგელსა ჰგავს...
– არა, გენაცვა,
ვახტანგ გორგასლის ფარია.
რაშებს გაუბამთ მარულა,
ჰორიზონტს გააქვს დგანდგარი...
–ოჰო, დიდგორზე დაძრულა
აღმაშენებლის ლაშქარი.
,,ხმალ ელვას უგავთ ცისასა“
ვაჟებს, ამართულთ ცხენებზე,
ვაი, დედასა მტრისასა!
დღეს შავად გაუთენებენ.
შეკრეს კამარა მხედართა
ნისლებში, იისფერაში,
დღე იწმინდება –
მზე დაჩნდა
მეფე თამარის მზერაში.



ტარიელ ხავთასი

# საქართველოს

ნანი–ნანი, ნანი–ნანა,
ნანი–ნანი–ნანაო.
ჩემი ტურფა მთა და ბარი
ბაღნარს დაემგვანაო.
ველს აცვია მწვანე კაბა
და ნიავში ნანაობს,
ყვავილების ფერად ზღვაში
საქართველო ბანაობს.
დაილოცოს მისი ფუძე,
ვენახი და ყანაო,
მზის სადარი გოგონები
კოხტა, ალვისტანაო.
მისი ვარსკვლავბიჭუნები, –
ბადრი მთვარისთანაო.
ნანი–ნანი, ნანი–ნანა,
ნანა–ნანი–ნანაო.
ზღაპარშიაც არსად არის
მხარე ამისთანაო.





მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ჯანრი გოგეშვილი

# მომღერალი ცხენი

(იბეჭდება შემოკლებით)

ლერწმოვანთან დაბინავებულ რემაში უცნაური კვიცი დაიბადა...

მოევლინა თუ არა ქვეყანას, უმალ სათამაშოდ გაუწია გულმა...

ის იყო, პირმშოს ხილვით გახარებული დედამისი მის ასალოკად შეემზადა, რომ კვიცი დაუფიქრებლად მოსწყდა ადგილს და ლერწმოვანში შევარდა...

იქ კი საგანგებოდ განმარტოებული ბებერი ჭაკი, მისანი ფენაკო ისვენებდა.

მყუდროებადარღვეულმა ფენაკომ წყენით შეათვალიერა კვიცის ნაკვალევი და მოსაბოდიშებლად მისულ ახალგაზრდა ფაშატს, თაფლიკოს საყვედურით ამცნო:

– დედის წინ მორბენალ კვიცს ან მგელი შეჭამს, ან მგლის ფერიო... ალბათ გაგიგია, მაგრამ ამ კვიცის ფლოქვის ხაზები ადამიანთა გულებისკენ მიემართება... გაფრთხილდი, მაგ უცნაური ხასიათით რაიმე ხიფათს არ გადაგვყაროს...

თაფლიკომ მეტისმეტი მოკრძალებით მოუბოდიშა. ბებერი ჭაკის მისნობა მაინცდამაინც არ სჯეროდა, მაგრამ რიდი კი დიდი ჰქონდა.

ლერწმოვანში განმარტოებული ფენაკოს მყუდროების დარღვევას თავად ულაყი ანტიქერიც კი ერიდებოდა და მორიგი ბრძანების გაცემისას შედარებით გულდინჯად შეიხვიხვინებდა ხოლმე...

კვიცი მართლაც უცნაური ჩანდა! მოხდენილსა და მოუსვენარს ბალანი ალისფრად უღუოდა. ყნოსვაც გამორჩეული გამოჰყოლოდა, თვალებდახუჭულს, სუნით არამცთუ ჯოგის თითოეული წევრის, არამედ ახლომახლო მდებარე ყოველი ხის, ბუჩქის, ბალახის და თავად ქვების ამოცნობაც კი შეეძლო...

ჩლიქები ისეთი მგრძნობიარე ჰქონდა, რომ მისან ფენაკოსგან მივიწყებულ სახიფათო ბილიკსაც კი ლაღად გაივლიდა...

ლაშებზე ხო აღარაფერს ვამბობ, თუ რასმე ერთხელ მაინც შეახებდა, მერე იმას რა დაავიწყებდა...

მაგრამ ყველაზე მეტად განგებისგან სმენა ჰქონდა მომადლებული, შორეულ მელოდიასაც კი უმალ მოჰკრავდა ყურს და გარინდული მალული თრთოლვით უსმენდა...

ერთხელ თავადაც ამღერდა...

საამო, გულში ჩამწვდომი ხმა ჰქონდა და მშვენიერ სიმღერებს მღეროდა... ზოგჯერ თავისებურად შეითამაშებდა ხოლმე და შემოგარენს ნავარდ-ნავარდით შემოივლიდა.

ყველაზე მეტად მაინც შავქოჩრიანი ყომრალების ახმიანება უყვარდა...

ლეგა, თვალშისაცემი ბეწვით შემოსილი, ერთავად ფაფარაყრილი ულაყები, შუბლს კეფიდან გადმოსული შავი ქოჩრები რომ უმშვენებდათ, რემის უსაფრთხოებას საგანგებოდ იცავდნენ და მხოლოდ ანტიქერის ბრძანებებს ასრულებდნენ... საფრთხეს რომ იგრძნობდნენ, ისეთ ჭიხვინს ატეხდნენ, უცაბედად არამცთუ ნადირს, კაცსაც შიშის ზარს სცემდნენ...

ნავარდას თავისებურად იზიდავდა მათი საგანგაშო „შემოძახილი“ და ხშირად ერთ-ორს განზრახ დააფრთხობდა ხოლმე... აჭიხვინებული შავქოჩრიანების ხმაზე კი თავის მომხიბლავ სიმღერას წამოიწყებდა...

ცხენის სიმღერა ვის გაუგონიაო, გიჟდებოდა ულაყი ანტიქერი და ფაშატ თაფლიკოს თვალებს დაუბრიალებდა... მერე სიმღერით გართულ კვიცს გამოენთებოდა, ბეჭით ნაცად მუჯლუგუნს გაჰკრავდა...

ჭიხვინით, რამდენიც გენებოს, იჭიხვინე, ოღონდ, მაგ სიმღერას გადაეჩვიეო, – გააფრთხილებდა ბრაზმორეული...

რა უნდა ექნა, ფრთხილობდა, ნავარდას გადამკიდე შავქოჩრიანებს სიფხიზლე არ მოსდუნებოდათ...

კვიცსაც რა ექნა, თუმც უკვე აღარც კვიცი ეთქმოდა, საცა იყო, ორი წლისა გახდებოდა და ასაკის შესაფერისი წინდახედულობა მართებდა.

ოღონდ, ცოტა ხნის შემდეგ კვლავ წამოუვლიდა სიმღერის ჟინი და ფარულად აღილინებული ლერწმოვანს განერიდებოდა. ჭენებით გაუყვებოდა მდინარის ნაპირს და განმარტოებული ლა-





მხატვარი
**გიორგი ჩაჩანიძე**

ღად ამღერდებოდა...

მართლაც მომხიბლავი ხმა ჰქონდა და ვერავინ იფიქრებდა, ცხენი მღერისო...

მაგრამ იგი სხვა ცხენებისგან არა მარტო უჩვეულო სიმღერის ნიჭით გამოირჩეოდა, არამედ მრავალფეროვანი ალურითაც...

ნაბიჯი ხომ გამორჩეულად ლამაზი ჰქონდა, რბოლაც მშვენივრად ეხერხებოდა...

მოხდენილ იორღას, ანუ თოხარიკს შიგადაშიგ მგზნებარე ჩორთს გამოურევდა...

მაგრამ, როცა შეინავარდებდა, მნახველის თვალწინ მართლაც განსაცვიფრებლად ზღაპრული სანახაობა იშლებოდა...

ერთხელ ამგვარად გალაღებული, მდინარეში მობანავე ბავშვებთან დაეშვა...

გული რაღაც სხვანაირად შეუთამაშდა და თითქოსდა საკუთარ ჟრიამულში ჩაკარგულ პატარებს შეერია.

ბავშვებმა მისი დანახვით ძალიან გაიხარეს. ვინ ზურგზე შეაცოცდა, ვინ გედისებრ კისერზე მოეხვია, ვინ კიდევ ფაფარში ჩაავლო ხელი...

მხოლოდ ერთი, ზღაპრულად მომხიბლავი, ქერაკულულებიანი გოგონა იჯდა განმარტოებით, ისე, რომ ვერც კი გრძნობდა სხვების სიხალისეს...

ასე კოხტა და ლამაზი, წარსულიდან გამოყოლილ სენს დაეთრგუნა...

ერთხელ, როცა იგი ჯერ კიდევ სრულიად პაწია იყო, საშინელი ქარ-სეტყვა ამოვარდა, ფანჯარა შემოამტვრია და ეტლი, რომელშიც გოგონას ეძინა, კედელს მიანარცხა...

მძინარე პაწია თითქოს არც შეშინებულა, მაგრამ მერე და მერე შეეტყო, რომ გულჩახვეული იზრდებოდა, სხვის მხიარულებას ნაკლებად იზიარებდა, ის კი არა, სხეულზე ზოგ ადგილას მწარედაც რომ გეჩქმიტათ, ვერც იგრძნობდა...

ნავარდამ იგი მალე შეამჩნია, მასთან ფრუტუნით მივიდა, კულულები აულოკა, აქა-იქ ტუჩები შეახო და ტკბილად ამღერდა:

მომღერალი ცხენი ვარ,
და ნავარდა აჩუა,
შემომაჯექ, გეთაყვა,
აჩუ, ბაჩა – აჩუა!
გამაჭენე, პატარავ,
აღარ გესმის აღუა,
მომღერალი ცხენი ვარ
და ნავარდა აჩუა...

გასაოცარი ის იყო, რომ გოგონა უმალ გახალისდა, აკისკისდა, მამის ნამღერი ლექსი გაახსენდა, მომღერალ ცხენს ყელზე აეკრა და წკრიალა ხმით ააყოლა:

აგერ, ნავარდა!
სილამაზით განთქმული პრინცი,
კვიცი გვარზე ხტის,
კვიცია და მერე რა კვიცი...
დაქრის, თამაშობს,
მშვენიერი სიმღერა იცის,
თუკი ინატრებ,
მოგატარებს ოცნებას ციმციმ...

ბავშვები შეშინდნენ კიდეც, უცნაური ცხენის ამღერებამ თუ გულჩათხრობილი გოგონას ასე უცებ გახალისებამ თითქოს თავგზა აუბნიათ...

მერე ყოველ მათგანს ძალიან მოუნდა ამ მოხდენილ ცხენთან ერთად ემღერა. მშვენიერ წყვილს ერთხმად მიუმღერეს:

მომღერალი ცხენი ვარ,
აჩუ, ბაჩა – ნავარდა,
დავჭენაობ, დავხტივარ,
დავქრი მთა და ბარადა...

ამ დროს მომღერალ ცხენს ულაყ ანტიქერის გამაფრთხილებელი ჭიხვინი მოესმა... შებინდებულიყო და ისიც საძოვარზე გაშლილ რემას ლერწმოვანთან უხმობდა...

ნავარდა შეკრთა, მერე გედისებრი კისერი დახარა, მოხდენილად შეირხა და მის ზურგზე ამხედრებული პატარები ძირს ჩამოსხა, ქერაკულულებიან გოგონას კი შუბლი ლოყაზე ფაქიზად შეახო, რაღაც ჩუმად მიუმღერა და ჯოგის ადგილსამყოფლისკენ მოკურცხლა...








ღორები აფრუტუნდნენ,
კატები აღრუტუნდნენ,
ულაყი აყიყინდა,
ბაყაყი აჭიხვინდა,
ჩიორამ გაიხარა:
– მქონიაო იღბალი, –
ბუღასავით იბღავლა,




აკრუტუნდნენ კატები:
– მოგვბეზრდაო კრუტუნი,
მოგვინდაო ღრუტუნი. –
გადივარცხნეს კულულები,
აყაყანდნენ ჭუჭულები,
ატყდა აყალმაყალი:



კატუნიამ დათუნას
ხელი მოუთათუნა
და შესძახა დათვურად,



მხოლოდ ბაჭია –
ბიჭი ჰრანჭია,
იყო ჭკვიანად:
არც ბღაოდა,
არც კნაოდა,
არც ხაოდა,
არც ჩხაოდა,
ჭარხლის ქვეშ
იწვა და,
გასლუჩილტუნება,
ცხოველებს
ურჩევდა:

ვინც უნდა იბღავლოს,
ნუ ჩხავის,
ვინც უნდა
იჩხავლოს,
ნუ ბღავის,
მუხას ვერ
შესწვდება
ბალახი,
მელა ვერ
იშიომებს
გლეხურად,
ჭაობში ვერ
იფრენს
ბაყაყი,
ბუღალ ვერ
იქცევა
ზღარბა.



მაგრამ აბეზარა მხეცებმა
დაიწყეს თვალების ცქცება,
ყური არ ათხოვეს ბაჭიას,
ბაჭიას მანჭიას, ჰრანჭიას.
თავები ანგრევენ კართაგენს,
კატებით აავსეს სათაგვე.

თევზები ჩაცვივდნენ თონეში,
ჰაერში აფრინდა გომბეშო.
მელიამ იპოვა ასანთი,
ას ათი ასანთი აანთო
და ზღვას გაუჩინა ხანძარი,
ხმელეთმა დაიწყო ზანზარი,
ფერი რომ ეცვალა კაბადონს,
ცხოველებს დაეცათ თავზარი.



გამოიწერეთ ჟურნალი „დილა“ გამოიწერეთ ჟურნალი „დილა“ გამოიწ




ვეშაპი ღრიალებს, –
ხანძარი
ზღვას გაატიალებს!

ნიანგმა
საპურეს
მიაგნო,
ზღვაში
ერის
ლავაშებს
აფლიანს,
ნიანგსაც
სწადია
ივარგოს,
ხანძარი
ჩააქროს
სწადია.



სარწყულებს ეძგერნენ მამლები,
ცრემლებით ავსილი თვალებით.
მორბიან, მოქრიან კაკბები
ქვევრებით, დოქებით, კოკებით.

დედლები, მტრედები, გვრიტები
წყაროს წყალს ზიდავენ
ჭიქებით.

ქალაქი, ცხოველთა ნაშენი,
იწვის და არა ჩანს საშველი.



უეცრად მოფრინდა პეპელა,
ცხრათვალა მზისაგან დამწვარი,
ფრთები დაიქნია პეპელამ
და უცბად ჩააქრო ხანძარი.



მხატვარი
თეა მიქაია





კოცნიან
ველ-მინდვრის
დედოფალს,
სიცილად ქცეული
მხეცები:

დღეიდან
არასდროს
შევეხებით,
დღეიდან
არასდროს
შევსვამთ.



ბაყაყები აყიყინდნენ:
– ყი-ყი-ყი
ყვინჩილებმა დაიყივლეს:
– ყიყ-ლი-ყო!
ჭუჭულები აყაყანდნენ:
– ყა-ყა-ყა.

ვარიები აკაკანდნენ: – კა-კა-კა.
ჭრიჭინები აჭრიჭინდნენ: ჭრი-ჭრი-ჭრი.
ჩიტუნები აჭიკჭიკდნენ: ჭიკ-ჭიკ-ჭიკ.
ბულბულები აბულბულდნენ:
– ბულ-ბულ-ბულ.
და გულები აგუგუნდნენ: – გუ- გუ-გუ.



იადონი
იავნანას უმღერს კატუნას,
სიზმარში რომ
ყველა თაგვი ჩააკნატუნა.

გადმოაქართულა
ვაჟა ყუზუსიძემ



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გილოცავთ



გიორგი და ნიკოლოზ ფოფხაძეები
ნინო და გიორგი შავიძეები
მერიკო სონღულაშვილი
კობა და ლუკა სისაურები
გიორგი გიგოლაშვილი
გიორგი ქიმბარიშვილი
ლიზი ნათელაშვილი
ნატა სულაქველიძე
ნინიკო კობეშავიძე
ნია სულაბერიძე
მარიამ გიგაური
ნიცა ოდიშვილი
ლიკა გვასალია
კესო ბაბუხადია
ლუკა გაბუნია
ანი ჯიღაური
უტა გულუა





ნასა და რეი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გლეხი და დევები



(ხალხური ზღაპარი)

იყო ერთი საწყალი გლეხი. ერთხელ ცოლს უთხრა: შინ არას ვაკეთებ, წავალ სადმეო. წაიღო საგზალი და წავიდა. მიადგა ერთ სახლს. დედაბერმა გამოიხედა; ბინად დამაყენეო – სთხოვა გლეხმა. დედაბერმა მიუგო: აქ რომ დაგაყენო, დევები შეგჭამენო. – ამისთანა სიცოცხლეს, დეე, შემჭამონო, – უთხრა გლეხმა და დადგა. დედაბერმა ქვაბში დამალა. დევი რომ მოვიდა, ადამიანის სუნი აიღო. დედაბერი ჯერ ეფიცა, აქ არავინ არ არისო, მაგრამ რაკი ვერ დააჯერა, მერე შეეხვეწა: ნურას ჰკადრებ, საწყალი კაციაო. დევმა პირობა მისცა, არას ვკადრებო. მაშინ დედაბერმა გამოიყვანა კაცი ქვაბიდან, ჭამეს ვახშამი და დაიძინეს.



მეორე დღეს დევმა ჰკითხა გლეხს: – რას მთხოვ, რომ გაჩუქოო?

– ცოცხლად გაშვებასაო, – მიუგო გლეხმა.

– თუ შენი შეჭმა მდომებოდა, – უთხრა დევმა, – წუხელ ვერ შეგჭამდიო? მაინც რას მთხოვო?

– ცოცხლად გაშვებასაო, – კიდევ უპასუხა გლეხმა.

ადგა და დევმა აჩუქა ისეთი ძროხა, რომელიც დღეში სამჯერ იწველიდა და თითო კვირაში თითო ხბოს იგებდა. თან უთხრა:

– ერთი წლის მერე გეწვევი, თუ სიტყვაში მომიგებ, ძროხა და მისი ნაშენი შენი იყოს, და თუ ვერა, ჩემიო.

– კარგიო, – მიუგო გლეხმა და წაიყვანა ძროხა. ძროხა გამრავლდა და გლეხი გამდიდრდა, დიდკაცურად ცხოვრობდა, მოჯამაგირეებიც დაიყენა. მაგრამ ერთი ჯავრი ჰქონდა – ვაითუ, დევს სიტყვაში ვერ მოვუგოო.



ერთ დილით თორმეტი დევი მოადგა კარს და დაიძახეს: „ჰო-ჰო-ჰო"!

მასპინძელი შიგნიდან დაეხმაურა: „ჰე-ჰე! ჰე-ჰე!"

– დილას რომ ბუზი გამოვგზავნეთ, ის ბუზი სად არისო? – იკითხეს დევებმა.

– ის აქამდე ზღვაში გავიდოდაო, – უპასუხა გლეხმა.

– ის პატარა ზღვა იქნებოდაო! – დაიბუბუნეს დევებმა.

– პატარა როგორ იქნებოდა, ყორანი შუამდე ვერ მიფრინდაო!

– პატარა ყორანი იქნებოდაო!

– პატარა როგორ იქნებოდა, ექვს სოფელს ფრთებით ჰფარავდაო!

– ის ექვსი სახლი იქნებოდაო!

– ექვსი სახლი როგორ იქნებოდა, ერთის თავზე ვირმა დაიყვირა და შუამდე ვერ მიაწვდინა ხმაო.

– ის პატარა ვირი იქნებოდაო!

– პატარა როგორ იქნებოდა, ექვს-ექვსი წისქვილი აქეთ-იქით ეკიდა და მუხლებით კურდღელს იჭერდაო.

– ის კურდღლის ბაჭია იქნებოდაო!

– ის ბაჭია როგორ იქნებოდა, დილიდან საღამომდე ცოლმა და ქმარმა ტყავი ვერ გააძრესო!

გაწბილებული დევები უკან გაბრუნდნენ.

გლეხს შერჩა ძროხა და მისი ნაშენი; ცხოვრობდა მშვიდობით.



მხატვარი ნანა სანაია

**ქეთევან ჭილაშვილი**

*

მაფზე ააგეს
მახვილით
თავი უგალეს
ქვაბშია
მერე კი
მზეზე გაფინეს
ტკბილ
ლოლუების არშია.

*

ცალკიდე
წვერწვეტიანი
ცალკიდე –
სარკმელიანი,
სარკმელში
ჭვრიტა–ჭვრიტაო
დალალი
გამოსკვნილაო!

**დოდო ზურაბიშვილი**

*

ჰაწაწინა
სახლიდან
სულ ხმაური ისმის,
ვინ მუშაობს,
ვერ გაიგებ,
რას აკეთებს,
ვისთვის?

*

ტბაზე იხვი
დალივლივებს,
ბოლო დარჩა
ღობეზედა,
თუმცა მთელი
ტბა დალია,
ვერ მოსულა
ღონეზედა.



**ვლადიმერ ასლამაზიშვილი**

# ძუნწი მეფის ზღაპარი



ერთხელ მეფე ნებივრობდა
ბუხრის ახლოს ფაცხაში,
ხველებისას ოქროს კბილი
ჩაუვარდა ნაცარში.
რადგან მეფე ძუნწი იყო
დაუძახა თავის ყმებს.
– თუ ოქროს კბილს ვერ მიპოვნით,
თავებს დაგაყრევინებთ!



დაფაცურდა დიდ-პატარა,
განა დააგვიანეს,
ქექეს, ქექეს ნაცარი და
კბილს ვერსად ვერ მიაგნეს.
ეს რა ვქნათო?
უს რა ვქნათო?!
სიმწრის ოფლი სდიოდათ,
ჯალათს ხმალი აელესა,
იქვე მიმოდიოდა.
და სიკვდილის მოლოდინში
ყველა ჰგავდა ფეთიანს,
უცებ ერთად გაახსენდათ
ერთი ნაცარქექია.

აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ,
შეაჯერეს მთა-ბარი,
იპოვეს და გასაქექად
მიუჩინეს ნაცარი.
ის კი სულაც არ ჩქარობდა,
მოიქექა თმა-წვერი
და ნაცრის გასაცრელად
მოითხოვა საცერი.
მთელ დღეს ცრიდა,
მთელ ღამესაც
და როდესაც ინათა,
ოქროს კბილი იპოვა და
იმ ძუნწ მეფეს მიართვა.
აქ მთავრდება, ყმაწვილებო,
ეს პატარა ზღაპარი,
კბილის მპოვნელს
ჯილდოდ მისცეს
ერთი გუდა ნაცარი.



მხატვარი
ზაურ დეისაძე

# ბავშვთა შემოქმედება









ამ მშვენიერმა გოგონამ – **მარიკო მაქაცარიამ** ხუთი წლის წინათ კაიროდან თავის საბავშვო ბაღის მეგობრებს წერილი გამოუგზავნა. მაშინ იგი ექვსი წლისაც არ იყო. პირველად შედგა ფეხი სკოლაში, ქართულ სკოლაში კი არა, ინგლისურში, მაგრამ ქართული წერა-კითხვა უკვე ჩინებულად იცოდა. ეს წერილი ჟურნალ „დილაში" დაიბეჭდა. წელს იგი მეხუთე კლასში გადავიდა. სანიმუშო და გამორჩეული მოსწავლეა, იცის ინგლისური, ფრანგული, არაბული, თხზავს პატარ-პატარა მოთხრობებს ინგლისურად და ცდილობს თავადვე თარგმნოს ქართულად.

„ძალიან მიყვარს ჟურნალი „დილა", ბებიკო ყველა ნომერს მიგზავნის. ვნატრობ, მეც ისეთი ლამაზი მოთხრობები დავწერო, როგორიც ამ ჟურნალში იბეჭდება," – გვწერს პატარა მარიამი. ამჯერად თავისი რამდენიმე ნახატი გამოგვიგზავნა და გვთხოვა, ჟურნალში დაგვებეჭდა.

## მაინტერესებს ვიცოდე

მაინტერესებს ვიცოდე, მეათე პლანეტა ლეგენდაა თუ სინამდვილე. მაინტერესებს ვიცოდე, რას ფიქრობდა ის კაცი, ვინც ილია ტყვიით განგმირა. მაინტერესებს ვიცოდე, როდის დაიბრუნებს საქართველო ჩვენს ტკივილს – აფხაზეთს და სხვა მიწებს, რომელიც ადრე წაგვართვეს. მაინტერესებს ვიცოდე, დღევანდელ თაობას უჩქეფს თუ არა ვახტანგისეული სისხლი. და ბოლოს, ძალიან მინდა მსოფლიოში ირწმუნონ, რომ ქვეყნად არის ერთი ღმერთი – იესო ქრისტე.

**ოთარ ყურაშვილი**
9 წლის

## შემოდგომის ფერები

შემოდგომაზე ხეების მწვანე ფოთლები ყვითლდება და ძირს ცვივა. ქუჩაში ყვითელი ფოთლების გროვა დგას და მზესავით ანათებს. გარეთ ცივა. ძაღლებს და კატებს ფოთლები თბილი ჰგონიათ და შიგ წვებიან.

**გიორგი გუჯეჯიანი**
7 წლის

**ზაზა ყოინაშვილი**
2 წლის







„დილის" რედაქციამ შეაჯამა ჟურნალის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით 2003 წლის მარტში გამოცხადებული ლიტერატურული კონკურსის – „ახალი სახელები საბავშვო მწერლობაში" შედეგები:

პროზაში I პრემია მიენიჭა **ირმა მალაციძეს,** II პრემია – **მანანა ხომერიკს,** III პრემია – **ბესიკ კეკელიძეს.**

წამახალისებელი პრემია — **გული სალუქვაძეს** და **ზურაბ ლომიძეს.**

სამწუხაროდ, პოეზიაში არც ერთი პრემია არ გაიცა.

# დილა ფოსტა

ეროვნული ბიბლიოთეკა






დილის „ფოსტის“ დღევანდელი გვერდი უცნაურმა დამთხვევებმა ერთ თემად შეკრა და სამშობლოდან შორს, პატარა სოფელ ზუბოვკაში, უკრაინის მიწას მიბარებულ უდიდეს ქართველ პოეტს დავით გურამიშვილს დაუკავშირა.

„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო,
ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო?!“

შემთხვევით როდი მოხვდა გურამიშვილის ეს სტრიქონები „დილის“ გარეკანზე და შემთხვევით როდი იქცა მის მუდმივ თანმხლებად.

არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, ახლახან უკრაინაში იქაურ თანატოლებთან შესახვედრად წასულ ქართველ ბავშვებს თან „დილა“ და მისი „საყმაწვილო ენციკლოპედია“ რომ ახლდათ. მართალია, ერთადერთი ქართული სკოლა, რომლისთვისაც ეს ძღვენი იყო განკუთვნილი, დახურული დახვდათ, მაგრამ ქალაქ კანევის უკრაინულმა საშუალო სკოლამ, რომელიც დიდი აკაკის სახელს ატარებს, დიდი ხნის ნანატრი საჩუქარივით მიიღო ქართული ჟურნალიც და წიგნიც. მეორე, ასევე უკრაინულ სკოლაში კი ქართული ენის შესწავლის იმდენი მსურველი აღმოჩნდა, მასწავლებლის მოძებნაში დახმარებაც კი თხოვეს ქართულ დელეგაციას.

ასოციაცია „უკრაინა – საქართველოს“ მიწვევით ინტერნეტის საერთაშორისო პროექტის „მათემატიკა და სამყაროს“ ფარგლებში ჩატარებულ ამ შეხვედრებში თბილისიდან I უკრაინული სკოლის, მე-5 გიმნაზიისა და 23-ე საშუალო სკოლის ათამდე მოსწავლე მონაწილეობდა. უკრაინიდან დაბრუნებულებს იმდენი რამ აქვთ მოსაყოლი და სათქმელი, რომ გადაწყვიტეს, შთაბეჭდილებები „დილის“ ფურცლებიდან თანატოლებისთვის გაეზიარებინათ.

ბედნიერი ვარ და მთელი ცხოვრება ვიამაყებ, რომ მოვინახულე ჩვენი სათაყვანებელი პოეტის დავით გურამიშვილის საფლავი. სანთელი რომ დავუნთე, მისი სიტყვები გამახსენდა: „ცოცხალი არვის ვახსოვარ, მკვდარს ვილა მომიგონებსა?!“ ჩვენ უკრაინაში დავითისადმი ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარული ჩავიტანეთ. საქართველოს არათუ ახსოვს, უყვარს გურამიშვილი, უყვარს უკრაინასაც.

**ნათია გაბოძე**
სკოლა „ალბიონის“
VI კლასის მოსწავლე

ძალიან მომეწონა კიევი. გარდა იმისა, რომ ეს ლამაზი ქალაქია, ჩემზე უბრალო კიეველების დამოკიდებულებამაც იმოქმედა. მსიამოვნებდა, რომ ყველა, ვისაც იქ ვხვდებოდით, სიყვარულით ლაპარაკობდა საქართველოზე.

**ნიკა აგლაძე**
23-ე საშუალო სკოლა

ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უკრაინელების თბილმა მიღებამ და ორი უდიდესი ადამიანის საფლავის მონახულებამ: მირგოროდში–დავით გურამიშვილისა და კანევში–ტარას შევჩენკოსი;.

**ზლატოსლავა შვეცი**
თბილისის I უკრაინული სკოლის მოსწავლე

**კიდევ ერთი დამთხვევა: ერთი თვის წინ რედაქციაში პატარა მარიამ დათუაშვილის წერილი მოვიდა. ისიც დავით გურამიშვილს და უკრაინის თემას უკავშირდებოდა:**

ძვირფასო დილა!

ამ ზაფხულს ჩემს მშობლებთან და დასთან ერთად უკრაინის ქალაქ მირგოროდში ვისვენებდით. მამამ დავით გურამიშვილის სახლ-მუზეუმი, საფლავი, ძეგლი და მის სიცოცხლეში დარგული მუხები გვაჩვენა. მოვინახულეთ სოფელი ზუბოვკა, სადაც ჩვენი პოეტი ცხოვრობდა. ძალიან ამაყი ვარ და მინდა თქვენც გაგიზიაროთ ჩემი სიხარული: მამაჩემი, ვალერი დათუაშვილი, დიდი ხანია გურამიშვილის მუზეუმს უვლის, ახლა კი გაგვიმხილა, მუზეუმის გვერდით პატარა ეკლესიის აშენება გადავწყვიტეო. უკვე ჩაყრილი საძირკველიც გვაჩვენა. მეამაყება, რომ გურამიშვილი ქართველი იყო; მეამაყება, რომ მამაჩემი ასეთ კარგ საქმეს აკეთებს; ძალიან მინდა, ისე ვიცხოვრო, რომ ვინმემ ჩემით იამაყოს.



1904 დილა 203855353 LITERARY MAGAZINE FOR JUNIORS

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ესოპოსი

შენ ალბათ უკვე გაგიგონია სულხან-საბას, ლაფონტენის, კრილოვის, ესოპოსის (ეზოპეს) სახელები. იმედია, წაკითხულიც გექნება ამ დიდი მეიგავეების ნაწარმოებები.

დღეს გვინდა ერთ-ერთ მათგანზე – ესოპოსზე გესაუბროთ.

ესოპოსის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. წარმოშობით ფრიგიელი იყო, დაბადებულა მონად. უცხოვრია ჩვ. წ-მდე VI საუკუნეში. თავისი გონებამახვილობითა და სიბრძნით თავისუფლებაც და, სავარაუდოდ, სიკვდილიც კი დაუმსახურებია. გარეგნულად მახინჯი, ენაკვიმატი ესოპოსი არავის ინდობდა. ყველას, ვინც ღირსი იყო, ამათრახებდა და მწარედაც დასცინოდა. როგორც მონას, მას არ შეეძლო აშკარად გამოეთქვა თავისი აზრები. ამიტომ, შენიღბვის მიზნით, უსულო საგნებს და ცხოველებს ალაპარაკებდა. ზუსტად ვერავინ ამბობს, როგორ აღესრულა ეს „უჩვეულო“ კაცი. არსებობს გადმოცემა, რომ მისგან გაქილიკებულ და გამწარებულ დელფოსის ქურუმებს იგი მკრეხელობაში დაუდანაშაულებიათ და აკროპოლისის მაღალი კედლიდან გადაუგდიათ.

თუ ეს გადმოცემა ნამდვილია, მაშინ ათასგზის მართალი ყოფილა თავად ესოპოსი, როცა ამბობდა, ყველაფერი ენაზეა დამოკიდებულიო...



## მგზავრი და ესოპოსი

გზად მიმავალ გესლიან მეიგავეს ერთხელ ერთი დაღლილი მგზავრი შემოხვდა:

– რამდენი საათის სავალი დამრჩა ათენამდე? – ჰკითხა მგზავრმა.

ესოპოსმა არ უპასუხა. მგზავრმა უკმაყოფილოდ ჩაიქნია ხელი და უცნაურ კაცს გაეცალა. გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ მეიგავემ მიაძახა:

– ათენამდე ორი საათის სავალია!

– შე კაი კაცო, მაშინვე რად არ მიპასუხე?

– რას ამბობ, მაშინვე საიდან უნდა მცოდნოდა, როგორი სიარული იცოდი?

## დიახ, ყველაფერი ენაზეა დამოკიდებული

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ესოპოსს თავისუფლების გემო არ ჰქონდა გასინჯული და მონის მძიმე ხვედრს ატარებდა, იგი თურმე პატრონმა იხმო და უბრძანა:

– ესოპოს, წადი ბაზარში და საჭმელად ისეთი რამე მომიტანე, რომლის უტკბესიც ქვეყნიერებაზე არაფერი არსებობს.

ენაკვიმატ მონას ეს ახირებული თხოვნა დიდად არ გაჰკვირვებია, ბაზარში წასულა, ენა უყიდია და პატრონისთვის მიუტანია.

მეორე დილით პატრონს კიდევ უფრო ახირებული დავალება მიუცია მონისთვის:

– ახლა წადი და ისეთი რამე მომართვი, რომლის უმწარესიც არაფერი გაჩენილა ამ მზისქვეშეთში.

წასულა ესოპოსი და ისევ ენა მოუტანია.

– ეს როგორ?! – განრისხებულა ბატონი.

– დიახ, ჩემო ბატონო, – მშვიდად მიუგია ესოპოსს, – არაფერია სამზეოზე უფრო ტკბილი და სასიამოვნო, ვიდრე ჭკვიანური სიტყვა, და არაფერია უფრო მწარე და უსიამოვნო, ვიდრე სისულელე. ყველაფერი ენაზეა დამოკიდებული.



მხატვარი ვაჟა ქურხული

1904 წლის ოქტომბრიდან გაზეთები „ივერია" და „ცნობის ფურცელი" ყოველდღე აუწყებდნენ მკითხველ საზოგადოებას:

# იქიდან აქეთ რამხელა გზაა...

„ახალი საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული" სურათებით გამოიცემა მოწაფეთათვის და მოზრდილ ყმაწვილთათვის. თვეში სამი წიგნი: ერთი მოწაფეთათვის და ერთი მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით...
წლიური ანგარიშობა 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე".

ნაკადული

ნოემბერში კი მშვენიერი ზღაპრებით, ლექსებით, ნაირ-ნაირი ამბებით, რებუსებით, სურათებით, ამოცანებით, გამოცანებით დამშვენებული, დაიბადა „ნაკადული", რომლის დამაარსებელი იყო საზოგადო მოღვაწე **მარიამ დემურია.**



საყმაწვილო ჟურნალი

გოლოვინის პროსპექტი

რედაქცია

ზუბალოვის სახლი №8

მარიამ დემურიამ გარს შემოიკრიბა ვაჟა, ილია, აკაკი, სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ლომოური, თედო რაზიკაშვილი, ბაჩანა, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია, დუტუ მეგრელი, შიო მღვიმელი, ლუარსაბ ბოცვაძე, ნინო და ილია ნაკაშიძეები, ცნობილი მხატვრები: ოსკარ შმერლინგი, გიორგი გეხტმანი, ა. ბერიძე, გ. ნათაძე, მ. თოიძე, ვ. ჭელაძე, შ. ქიქოძე...

ამ გამოცემით აღფრთოვანებული აკაკი წერეთელი გაზეთ „ივერიის" 1904 წლის ერთ-ერთ ნომერში წერდა: „მწერლობის გარდა სხვა ასპარეზზეც ქალები გვჯობნიან... ერთი მარიამ დემურია უდრის მრავალს მოღვაწეს კაცთაგანს".

ჟურნალმა „ნაკადულმა" დაიწყო საყმაწვილო წიგნების გამოცემაც, რომლებსაც შემდეგ ხელის მომწერებს საჩუქრად ურიგებდნენ. სწორედ „ნაკადულმა" გამოსცა მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალი", ძმები გრიმების ზღაპრები, ლევ ტოლსტოის „ბავშვობა და ყრმობა", ჰარიეტ ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხი", დიკენსის „ხრუცი და მარლეი", დასურათებული ასოწყობი ანბანი, კრებული „საბავშვო მწერლობა", სამეცნიერო ხასიათის „მიწისძვრა და ცეცხლის მფრქვეველი მთები", და სხვა მრავალი.

ჟურნალის გამოსაცემი ხარჯები მარიამის მეგობარმა ნინო ქობულაშვილმა გაიღო, ის იყო 1832 წ. შეთქმულების მეთაურის ელიზბარ ერისთავის ქალი, ხოლო ელისაბედ ერისთავი, რომელმაც ფორმალური რედაქტორობა იკისრა, დავით ერისთავის („სამშობლოს" ავტორი) ასული გახლდათ. მათი დამხმარე – თამარ გრუზინსკაია – დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის ასული იყო. იქვე მოხსენიებულია მისი ასული ელისაბედი – ცნობილი პოეტი და მთარგმნელი ქალი ლიზა ორბელიანისა.



ყველა ამ დიდ საქმეს სახსრები ჰირდებოდა. ერისთავის ასულის გაღებულმა ხარჯებმა არ იკმარა. რა არ იღონა მარიამმა, ქალაქისთავი ვასილ ჩერქეზიშვილიც კი შეაწუხა, მაგრამ მან სანუგეშო ვერაფერი უთხრა.

ერთხელ მარიამი ელისაბედ ორბელიანს ესტუმრა. მასთან საუბარში, დაიბადა აზრი, ძმები ზუბალაშვილებისათვის ეთხოვათ დახმარება. ისევ შეაწუხა ქალაქისთავი ჩერქეზიშვილი. გადაწყდა, წერილი მიეწერათ იაკობ ზუბალაშვილისათვის.




წერილი დაიწერა. ხელს აწერდნენ: თამარ დავითის ასული გრუზინსკაია, მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანი, ბარბარე მიხეილის ასული ამილახვარი, ანნა გოგებაშვილი, ილია წინამძღვრიშვილი და ვასილ ჩერქეზიშვილი. წერდნენ:

**„დიდად პატივცემულო იაკობ კონსტანტინეს ძევ! ბოდიშს ვიხდით, რომ გარემოება გვაიძულებს, შეგაწუხოთ... თქვენთვის არ არის საჭირო იმის განმარტება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მომავლისათვის მოზრდილი თაობის განათლებას და აღზრდის საქმეს. საკმაოა, აღვნიშნოთ მხოლოდ ის, რომ ჩვენს დროში ქართულ ოჯახს აუტანელი ბრძოლა უხდება, რათა ნორმალური ნიადაგი მოუპოვოს ბავშვების ნაციონალურ აღზრდა-განათლების საქმეს... სხვათა შორის, შეიძლება ამ საქმეს უაღრესად დიდი სამსახური გაუწიოს კარგად დაყენებულმა და მატერიალურად უზრუნველყოფილმა საბავშვო ჟურნალმა. კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ უკანასკნელ წლებში ჩვენში დაარსდა ამგვარი ჟურნალი, სახელდობრ „ნაკადული", რომელიც ფრიად დამაკმაყოფილებლად ასრულებს თავის დანიშნულებას და დღითი დღე უმჯობესდება. ამ ახალი პერიოდული გამომცემლობის ირგვლივ თავი მოიყარეს ნიჭიერმა ახალგაზრდა მწერლებმა, რომლებმაც გაამდიდრეს ქართული საბავშვო ლიტერატურა ღირსეული ნაწარმოებებით. იმედი არის, რომ მომავალში ეს ჟურნალი არ ჩამორჩება საუკეთესო ევროპულ საბავშვო ჟურნალებს, თუ რასაკვირველია, ჩვენ ყველა დავეთანხმებით და მხარს დავუჭერთ მის ხელმძღვანელობას.. თქვენი მფარველობა, ღრმად პატივცემულო იაკობ კონსტანტინეს ძევ, იხსნის ჟურნალს კრიზისისაგან, რითაც თქვენ დაუფასებელ სამსახურს გაუწევთ საყვარელ სამშობლოს".**

იაკობ ზუბალაშვილი კარგად იცნობდა ამ წერილის ხელის მომწერებს და შედეგმაც არ დააყოვნა: ამ დროიდან ჟურნალის გამოცემა სწორედ მისმა დისწულმა პავლე იოსების ძე თუმანიშვილმა ითავა. ეს იყო 1906 წელს. რედაქტორად მარიამ დემურია დაინიშნა.

1908 წლიდან ორშაბათობით იმართებოდა ჟურნალის სარედაქციო სხდომები. იკრიბებოდნენ თანამშრომელი მწერლები, მთარგმნელები, კითხულობდნენ, მსჯელობდნენ. ზოგს იწონებდნენ, ზოგს იწუნებდნენ, დიდი შრომა, სიყვარული, ბრძოლა სჭირდებოდა თითოეული ნომრის მომზადებას. მარიამი ვის აღარ ავალებდა, სთხოვდა მასალებს ნომრისათვის. აი, ერთი ბარათი, მიწერილი სოფრომ მგალობლიშვილისადმი:

**„ძმაო სოფრომ!.. თქვენი ჭირიმე, თუ ჩემი და-ძმობა გწამთ, სამშაბათისთვის მოგვიხწარი. გენაცვა, გევედრებით."**

ასევე სთხოვდა ნიკო ლომოურსაც:

**„ჩემო ძვირფასო ძმაო და ნათლია ნიკო!**

**გთხოვთ გულით და სულით, დაგვიწეროთ რამე საშობაო, ან საახალწლო. თქვენი მოთხრობა „პაწია მეგობრები" ლიზა ორბელიანისამ ინგლისურად გადათარგმნა და გავგზავნეთ. დაიბეჭდება რომელიმე ინგლისურ ჟურნალში. გთხოვთ გულით, თუ შეიძლება თქვენის მხიარულის ნიჭით კიდევ დაატკბეთ პატარა ბავშვები.**

**თქვენი ერთგული მ. დემურია".**

წერილს წერილზე უგზავნიდა თედო რაზიკაშვილს:

**„თქვენი ახალი გამოგზავნილი ლეგენდა მშვენიერია, – წერდა ერთ წერილში – გულით გთხოვთ თქვენ, რაც კი შეიძლება ბევრი მასალა გამოგვიგზავნოთ, თქვენი თითქმის ყოველისფერი დაიბეჭდება".**

საოცარ წერილებს იღებდა თავადაც:

**„ძვირფასო დაო მარიამ!**

**ერთ მოთხრობას გიგზავნით, თუ მოგეწონებათ, რა თქმა უნდა, დაჰბეჭდავთ. ამაზე ლაპარაკი მეტია. სალაპარაკო და სათხოვარი ჩემი თქვენდამი სულ სხვაა: მე სოფლად ცხოვრება აღარ შემიძლიან, ფიზიკურმა შრომამ გამტეხა, თანაც ვბერდები. ეხლაც ავადა ვარ, უსათუოდ ექიმი და წამლობაა ჩემთვის საჭირო... საზოგადოებას თუ რადმე ეფასება ჩემი თავი, უნდა მიპატრონოს...**

**ხხვას მე წერილს არავის არა ვწერ, რადგან მაგრერიგად დაახლოვებით არა ვარ არავისთან და თან ისიც ვიცი, ჩემთვის თავს არავინ გაიცხელებს.**

**თქვენი მარადის პატივისმცემელი ვაჟა-ფშაველა."**

ასე გადიოდა წლები. მარიამს თვითონ მიჰქონდა მასალები სტამბაში, ასწორებდა კორექტურას, თავს ადგა ასოთამწყობებს. ოცნებად ჰქონდა ფერადი სურათების ბეჭდვა.




1910 წლის თებერვალში გარდაიცვალა ... დიდად წვლებული, მისი უანგარო მოამაგე მარიამ დემურია. რედაქცია დიდი გულისტკივილით იუწყება მის გარდაცვალებას.

მარიამ დემურიას გარდაცვალების შემდეგ, 1910 წლიდან, „ნაკადულს" რედაქტორობს ნინო ნაკაშიძე. მისი სახელი განუყრელია ჟურნალ „ნაკადულთან". დაარსებიდან იგი იყო ამ ჟურნალის ძირითადი თანამშრომელი, შემდეგ კი – უცვლელი რედაქტორი.

1924 წელს აღინიშნა „ნაკადულის" იუბილე:

**სალამი „ნაკადულს"**

**პირველად 1904 წელში ალიკლიკდი, საყვარელო „ნაკადულო"; ნორჩი იყავი, ახალგაზრდა, მაგრამ მაშინვე მიხწვდი ბავშვის სულს და გულს.**

**მას შემდეგ ოცმა წელმა განვლო, ოცმა ცივმა ზამთარმა გადაიარა შენს თავზე, ოცმა ცხელმა ზაფხულმა გადაგიქროლა, – მაგრამ ისევ ნორჩი, ცოცხალი და დამატკბობელი დარჩი... მოჩხრიალებ ულევად, ჰკისკასობ პირმცინარი ბავშვის თანაგრძნობით.**

**ნაკადული... სიმბოლო სვლის, შეუჩერებლობის...**

**„ნაკადული"... ჩვენი საყვარელი საბავშო ჟურნალი...**

**რამდენი ბავშვი გაწრთვენი, დაავაჟკაცე, ცხოვრებაში შეაცურე ფაქიზი ზნეობით, საუკეთესო იდეალებით გამსჭვალული! ახლა ახალ წყებას წრთვნი!**

**და ახლაც წმინდად ასრულებ შენს მოვალეობას!**

**ბავშვის სული, მისი არსება შენთანაა, შენით ხარობს, შენით ილხენს...**

**სიამით ელის, – ხელში ჩაგიგდოს, გადაგიკითხოს, შეგითვისოს.**

**შენი ლექსები, „ნაკადულო", ნაკადულივით ლიკლიკებს, ანკარაა, უბრალო...**

**მდინარე დიდია, აზვირთებული, ცვალებადი, თან სერიოზული, მოღუშული და ამიტომ გაუგებარი...**

**ნაკადული კი მხიარულია, ლიკლიკა, ნორჩი, საყვარელი, გულდია...**

**დიალაც ამიტომ შერჩეული გაქვს სახელი - „ნაკადული"...**

**ბავშვის გონებისათვის ადვილად მისაწვდენი... გასაგები, გულის მეგობარი...**

**ოცი წელია ასეთი ხარ, ასეთიც დარჩები... ბავშვთა მესაიდუმლე, მათი მეგობარი.**

**სათავე ბავშვის სულში გაქვს და მთელს სიგრძეზე მის მობიბინე, აკოკრებულ ძარღვებში მიედინები, გამჯდარი ხარ მის სისხლსა და ხორცში!**

**მაშ იდღეგრძელე, საყვარელო „ნაკადულო", 20 წლის სიცოცხლით სავსე ნორჩო „ნაკადულო".**

**დავით კარბელაშვილი**

1927 წელს „ნაკადულის" ერთ-ერთ ბოლო ნომერში ქვეყნდება განცხადება:

მოითხოვეთ ახალი მეგობარი!
ჟურნალ „ნაკადულის" ნაცვლად 1928 წლის 1 იანვრიდან გამოდის ჟურნალი „ოქტომბერი".



1904 1905 1906 1907 1908 1909 1910 1911 1912 1913 1914 1915 1916 1917 1918 1919 1920 1921 1922 1923 1924 1925 1926 1927

შიო მღვიმელი

## ნაკადული

მე შორის გზიდან მოვდივარ
მაღლის მთებიდან ბარადა,
მოვჩქეფავ, მოვჩუჩურებ,
მოვიმღერ ჰაი-ჰარადა.
მინდა გადმოგცეთ სალამი
ამწვანებულის მთებისა,
სალამი კლდეთა ჩანჩქრების
და გაშლილ ყვავილებისა.
თვით ყვავილების ცრემლი ვარ,
ცვარ-ნამად გამოწვეული;
ერთს კალაპოტში ჩამდგარი,
დღეს ნაკადულად ქცეული.
იმ ყვავილების და ჩემი
ერთია წადილ-სურვილი –
გამხმარ ველ-მინდვრებს ვესხუროთ
და თქვენ მოგიკლათ წყურვილი.

1904 წ. № 1



დავით თურდოსპირელი

## კალოს პირული

შენ, დილის მზეო, ლამაზო,
ცხოველო სხივებიანო,
პატარა გლეხი მოგმართავ,
ამო, არ დაიგვიანო!
კალოზე ყანა გავშალე
ოქროს თავთავა, ფხიანი,
სხივი დაუშვი, გაფიცხდეს
ლამაზი მარცვლებიანი!
ნიშა, ნიკორაც დაუვლის
კევრი დაიწყებს სრიალსა,
დღისით შენ გიმღერ, შეგხარი,
საღამოთი კი – ნიავსა!

1909 წ. №14

ნინო ნაკაშიძე

## ჩემი სოფელი

რა კარგია და როგორ მიყვარს ჩვენი სოფელი ზამთარში: თოვლით დაბურული, თეთრად გადაპენტილი, მთის კალთაზე შეფენილი, ხმაურა და ლამაზი! რა საყვარელია იქ ერთი სახლი ჩემთვის! ახლა იქ, იმ სახლში, კერა მხიარულად გუზგუზებს და ცეცხლის პირად ქოთნით ლობიო ჩუხჩუხებს. მეორე მხარეს კერაზე დაკრული ჭადი ცხვება. ჩემი საყვარელი დედა აკვანს უზის, თან ჰკერავს და თან ნანას უმღერის ჩემს პაწია დაიკოს, რომელსაც არ ეძინება და თავისი ფუნჩულა ხელებით კაკებს ეთამაშება. აქვე, აკვანთან, ჩვენი ხატაური მოკუნტულა და ტკბილად კრუტუნობს. მეორე მხარეს ბებია ჩირსა და ჩურჩხელებს არჩევს და ნელი ხმით ლაპარაკობს:

– ეს ჩემ საყვარელ ბიჭიკოს. ენაცვალოს იმას ბებია, ზამთრის არდადაგებისათვის დაითხოვენ სკოლიდან, და დავახვედრებ... ეს...

შემოდის მამა, თოვლით გაბუმბული, შეშით მხარზე; თან მურია მოსდევს. მამა შეშას კერის პირას ჰყრის, ცოტა განზე დგება და იბერტყავს. მურიაც იბერტყავს და მამას კუდის ქნევით შესცქერის.

– აბა, სადილი! – ამბობს მამა, – დღეს ბევრი ვიმუშავე: შეშა დავაპე, საქონელს ჩალა დავუყარე, სახლის სახურავი გადავწმინდე. გარეთ ცივა, მაგრამ არა უშავს რა, კარგი ზამთარია, – დიდ თოვლს კარგი მოსავალი მოსდევს.

დედა სუფრას აწყობს. ყველანი გარს უსხდებიან.

– ზამთრის არდადეგები ახლოვდება, – ამბობს მამა, – ჩქარა ჩვენი ბიჭიკოს წამოსაყვანად ქალაქს უნდა წავიდე.

– ენაცვალოს იმას დედა, – ამბობს დედა, – ხედავ, რა ხალათი შევუკერე. უნდა დავახვედრო.

დედას მოაქვს ხალათი, ათვალიერებენ, ყველას მოსწონს. პაწია დაიკოც კი ხელებს წევს ჩემი წითელი ხალათისაკენ...

როგორ ვუყვარვარ ყველას და როგორ მიყვარს ყველანი და ყველაფერი ამ სახლში: ცეცხლზე ჩამოკიდებული შავი ჯაჭვი, ჭრელი ქეჩით დაფენილი გრძელი ტახტი, ტახტის ბოლოში წითელი ზანდუკი, ბებიის ბოხჩები.

ოჰ, რა სიხარულით წავალ ზამთრის არდადეგებზე შინ და როგორ დავკოცნი ყველას: ბებიას, დედას, ჩემს დაიკოს, მამას და... ხატაურს და მურიასაც...

ასე ელაპარაკებოდა პატარა ბიჭიკო თავის ამხანაგს, პატარა გოგონას, ეთიკოს.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

1924 წ. №12




ჩვენ გაზეთი მოგვდის. დედა კითხულობდა. ძრიელ შეწუხდა, მერე გვითხრა: იცით შვილებო, ჩვენი სახელოვანი პოეტი აკაკი, თქვენ რო გიყვართ, ის ძრიელ ავად გამხდარაო. მეტად დაგვაღონა ამ ამბავმა. როცა ვლოცულობთ, ღმერთო დედა გვიცოცხლე, მამა გვიცოცხლე, აკაკი მოგვირჩინე, ასე ვეხვეწებით ღმერთს. აკაკის ლექსები ძრიელ ხალისიანად ვისწავლეთ ზეპირად; გვიხარიან, როცა დედა კითხულობს.

სათამაშოების სასყიდლად მამამ იმ დღეს ხუთი მანეთი გვაჩუქა. ჩვენ არ გვინდა სათამაშოები: ეს ფული აგერ გაახელით, პატარა „ნაკადულო“ – ჩვენს საყვარელს აკაკის, „მერცხალი“ და „გაზაფხული“ რო დაწერა, გთხოვთ ამ ფულით თაიგული მიართვათ.
თქვენი მეგობარი გია
თქვენი მეგობარი ვატო“.

1904 წ. №1

## ჭრელა-ჭრელა ამბავი

### მექუდე

ერთ მექუდეს პატარა შეგირდი ჰყავდა. ამ შეგირდმა შენიშნა, რომ მისი ოსტატი მუდამ ერთნაირის ხალისით და გულმოდგინებით არ მუშაობდა: დრო იყო, რომ დღეში ხუთი ქუდის შეკერვას ახერხებდა და ზოგჯერ ერთსაც ვერ მოასწრობდა.

პატარა შეგირდმა ითმინა, ითმინა და ბოლოს გაუბედა კითხვა ოსტატს:

– ოსტატო, რა მიზეზია, რომ ხან დიდი ბეჯითობა გეტყობა მუშაობაში და ხან მეტის-მეტს სიზარმაცეს იჩენ?

– ეგ სულ ჩემი კუჭის ბრალიაო, – მიუგო მექუდემ.

– როგორ თუ კუჭისა?

– აი, შვილო, როგორ: როცა კუჭი მშიერია, სულ იმას მიჩიჩინებს – მკლავი მალე გააქნიე, ნემსი აამოძრავე, თორემ ლამის ხელში დაგიჟანგდესო; თუ მაძღარია, სულ სხვას გაიძახის: დაწყნარდი, რას გაუშმაგებიხარ, ნემსი მძიმედ ამოუგე, ხელში არ გიჩხვლიტოსო.

ალ. მირიანაშვილი

1910 წ. №1




### სახუმარო გამოცანები

1. რამდენი მარცვალი ლობიო ჩავა ქოთანში?

2. ვინ ლაპარაკობს ყველა ენაზე?

3. რანაირ ბოთლში არ შეიძლება წყლის ჩასხმა?

**პასუხები: თვითონ არც ერთი მარცვალი არ ჩავა, ლობიო უნდა ჩაყარო ქოთანში; ექო; სავსე ბოთლებში;**

### ანეკდოტები

ერთმა კაცმა მსახურს ერთი მანეთი მისცა და უთხრა: ამისი თამბაქო იყიდეო. მერე მოაგონდა, ერთი მანეთიც მისცა და დაუმატა: ამისი კი შაქარიო. ბიჭი წავიდა. კარგა ხნის მერე დაბრუნდა. იყიდეო, ჰკითხა ბატონმა. „არა“. – „რატომ?“ – „დამავიწყდა, რომელი მანეთით თამბაქო უნდა მეყიდა და რომელით შაქარი“– მიუგო ბიჭმა.

1906 წ. №5




## სპილო – გამდელი



სპილოებს ძალიან უყვართ ბავშვები. ინდოეთში, ანუ ცეილონის კუნძულზე არა ერთხელ უნახავთ სპილოები, რომელნიც ბავშვებს უვლიან. ეს უზარმაზარი გამდელი დედობრივი გრძნობით ზრუნავს მასზე მინდობილ ყმაწვილზე.

ბევრ სახლში ცეილონში სპილოს აჩვევენ აკვნის რწევას და სპილოგამდელი მშვენივრად ასრულებს ამ თანამდებობას: დაიწყებს თუ არა ყრმა ტირილს, სპილო თავის ხორთუმით დაუწყებს აკვანს რწევას, მანამ ბავშვი არ დაიძინებს, და თუ კარგა ხნობამდე ვერ დააძინა, მაშინ ყვირილით ატყობინებს მშობლებს, რომელნიც სამუშაოდ არიან ბაღში ან მინდორში.

1905 წ. №16



**ლევან ბაბუხადია**
– თუ სასიამოვნო და სასარგებლო საქმის კეთება ბედნიერებაა, მე ბედნიერი ვარ „დილაში" თანამშრომლობით.



**ქეთი გიორგაძე**
– თხუთმეტი წელი „დილასთან" ერთად – მგონი საკმარისია, რომ ვთქვა: „დილა" ჩემი ცხოვრების ნაწილია.



**ალეკო გაბელაია**
– ჩემთვის „დილა" დილით მუშაობას ნიშნავს. ვის გაუგონია „დილაში" გვიან ღამემდე მუშაობა?!



**ნანა კვარაცხელია**
– დიახ, ჩვენ ასი წლისა ვართ! ეს პირველი შემთხვევაა, როცა „დილის" თანამშრომელი ქალები არც ვიკლებთ და არც ვმალავთ ჩვენს ასაკს!



**მაყვალა გიორგაძე**
– „დილა" ჩემი პატარა ოჯახია, სადაც მუდამ სიკეთე, სითბო და სიყვარულია.



**ნაირა ცოცხალაშვილი**
– „დილაში" საღამოსაც კი სადილაო განწყობაა.



**გია ლაფაური**
– „დილა" ყველა ჩვენგანის ბავშვობას ალამაზებდა და მეამაყება, რომ დღეს პატივი მაქვს, თავად მოვრთო და გავალამაზო.



**თამუნა ნინიკაშვილი**
– ყოველ დილით ვიღვიძებ და რაღაც მიხარია... „დილაში" მელოდებიან!!!



**თეა მიქაია**
– „დილა" მაგნიტივითაა, ერთხელ თუ მიგიზიდა, ველარსად გაექცევი.



**მაგდა კვაჭანტირაძე**
– „დილა" ჩემი ბავშვობისდროინდელი ახდენილი ოცნებაა.



**გუგული ლეჟავაშელი**
– დილა ოცნებების დროა, შუადღე – იმედების, საღამო – განსჯის... „დილაში" ყოველთვის დილაა.



**ნანი კაკაჩია**
– „დილა" ჩემთვის ენერგიის უშრეტი წყაროა, მასთან ერთად მუდამ ბავშვივით ხალისიანი ვარ.



**ირმა ლიპარტელიანი**
– „დილა" ჩემთვის დამოუკიდებლად წაკითხული პირველი ჟურნალი და დამოუკიდებლად გაკეთებული პირველი საქმეა.



**ცისანა ნიკოლაიშვილი**
– „დილა" ჩემი შორეული ბავშვობის ულამაზესი მოგონებაა. მიხარია, რომ ბედმა კვლავ შემახვედრა მას.



**ვაჟა ყუბუსიძე**
– „დილა" მანათობელია, რომელიც ბავშვობიდანვე თითოეული ჩვენგანის ცნობიერებას სამყაროს ერთ-ერთი საოცრების – ვარსკვლავებით მოჭედილი ცის მოციაგე ნაწილად აქცევს.



**ციცინო მეზვრიშვილი**
– „დილა" ჩვენი შვილიც არის და დედაც, მისი გამოზრდილები დღეს ბებიები ვართ.



**მარიკა გიორგაძე**
– ათი წლის ვიყავი, როცა ჩვენმა ციციმ, ციცინო გამყრელიძემ თამაშ-თამაშით „დილის" მაკეტი გამაკეთებინა. ამით დღესაც ვამაყობ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გამოდის 1904 წლიდან**

მთავარი რედაქტორი
**დოდო ჭიჭინაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე
**ლევან ბაბუხადია**

პასუხისმგებელი მდივანი
**თამარ ნინიკაშვილი**

პოეზია:
**ვაჟა ყუბუსიძე**

პროზა:
**მაგდა კვაჭანტირაძე**

შემეცნებითი და გასართობი მასალები:
**ციცინო მეზვრიშვილი**

სტილი:
**ცისანა ნიკოლაიშვილი**

მხატვრობა და დიზაინი:
**თეა მიქაია**
**გია ლაფაური**

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
**ქეთევან გიორგაძე**
**ირმა ლიპარტელიანი**

საფინანსო განყოფილება:
**ნაირა ცოცხალაშვილი**
**გუგული ლეჟავაშელი**

საზოგადოებასთან ურთიერთობა:
**მაყვალა გიორგაძე**
**ნანი კაკაჩია**

წერილები:
**მარიკა გიორგაძე**

*ყდაზე ნახატი*
***თეა მიქაიასი***

„დილის" გამოცემები:
**საყმაწვილო ენციკლოპედია**
პასუხისმგებელი რედაქტორი
**ალეკო გაბელაია**

**საყმაწვილო ბიბლიოთეკა**
პასუხისმგებელი რედაქტორი
**ნანა კვარაცხელია**

მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ. №14
ტელ: 931-032; 934-130
ელ-ფოსტა:
**dila1904@yahoo. com**

ფასი: 2.50 ლარი

ხ69/ნ


დილა
საყმაწვილო ენციკლოპედია
საყმაწვილო ენციკლოპედია
საყმაწვილო ბიბლიოთეკა
თაიგული
ქართული ანბანი
სხვადასხვა გამოცემები
მკითხველთა საყურადღებოდ!
ძვირფასო ბავშვებო! თუ თქვენ მთელი წლის განმავლობაში „დილის“ ერთგული მკითხველი იქნებით, წლის ბოლოს დასაჩუქრდებით „დილის“ გამოცემებით. გარდა ამისა, რედაქცია კიდევ ბევრ სიურპრიზს გპირდებათ.
(ამისთვის საჭიროა წარმოადგინოთ ჟურნალ „დილაზე“ მთელი წლის ხელმოწერის ბარათი).

დილა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 1, 2004

# დიდებისთვის




2 — ჩემი ოჯახის ისტორია

3 — დღეს კატარას დღეობაა!

4 — ენაბორძიკი

5 — ამინდის უტყუარი პროგნოზი

6 — საუბარი ყვავილების ენით

7 — ვიტამინების ყვითელი „თაიგული“

8 — რჩევები დიასახლისებს

# ჩემი ოჯახის ისტორია



**მ**ამა, ეს ჩოხიანი კაცი ვინ არის?

— შენი დიდი ბაბუა.

— რა ერქვა?

— აბა, რა ვიცი, ეგ კი არა, ხანდახან ჩემი სახელი მავიწყდება.

— ?

უპასუხოდ დარჩენილი ეს კითხვის ნიშანი ხვალ ფორმას შეიცვლის და გულგრილ წერტილად იქცევა: მე — დედა და მამა — ბებიები და ბაბუები და... წერტილი, რომლის იქითაც არ იცის და აღარც აინტერესებს.

არადა, სკოლაში შეიძლება ნიშანი დააკლონ და შინაც გაკიცხონ, ნაპოლეონის მამის სახელი რომ დაავიწყდეს. ნაპოლეონი, ცხადია, უმნიშვნელო კაცი არ იყო, განათლებულმა ადამიანმა ნაპოლეონის წარმომავლობაც უნდა იცოდეს და პეტრე პირველისაც, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. ადამიანის ისტორია მისი ოჯახის ისტორიით იწყება. მოგვიანებით იმ ადგილის ისტორია დააინტერესებს — იმ სოფლის, იმ ქალაქის, იმ ქვეყნის, სადაც დაიბადა. მერე უფრო დიდი მონდომებით დაიწყებს სხვა ქვეყნების, ქალაქების, ხალხების ისტორიის შესწავლას...

მანამდე კი, იქნებ მოიცალოთ, მთელი ოჯახი შეკრიბოთ და შვილთან ერთად გაიხსენოთ თქვენი წარმომავლობა.

დავიწყოთ ასე: ფურცელზე აღნიშნეთ საწყისი წერტილი — თქვენი შვილი თუ შვილები, რომლებიც ისრებით უკავშირდებიან მშობლებს — დედას და მამას. სასურველია, ამ დროს გაიხსენოთ საინტერესო ისტორიები თითოეული თქვენგანის ცხოვრებიდან — ბავშვობის მოგონებები, სკოლის მეგობრების ამბები, თავგადასავლები, თქვენი გაცნობის დღე... მერე ასეთივე ისრებით და საინტერესო ამბების თხრობით „ისტორიის ფურცელზე" ბებიები და ბაბუები შემოიყვანეთ, იქვე მიაწერეთ მათი გვარები, დაბადების თარიღები. მათი ამბების თხრობისას გაიხსენეთ დეიდები, ბიძები, მამიდები, რომლებიც პატარებს ბაბუდებად და პაპიდებად ეკუთვნიან. აქ კი შეგიძლიათ შეისვენოთ და საქმე მეორე დღეს გააგრძელოთ — კიდევ რვა გრაფის და ოთხი გვარის მისამატებლად მომზადება გინდათ. მთელი სანათესავოს დახმარებაც რომ დაგჭირდეთ, ფარ-ხმალი არ დაყაროთ — ეს თქვენი და თქვენი შვილების ისტორიაა, თქვენი ფესვებია — როგორც მეცნიერები უწოდებენ, გენეალოგიური ხე. როგორი ფორმა და სახე ექნება ამ „ხეს", თქვენს ფანტაზიაზეა დამოკიდებული. სასურველია, მუშაობა დიდი ზომის ფორმატზე დაიწყოთ, — ვინ იცის, რომელ თაობამდე მიხვალთ?! შეიძლება ფოტოები დააკრათ და მინაწერები გაუკეთოთ, შეიძლება მხატვრულად გააფორმოთ, თუნდაც ყველაზე არასერიოზული ნახატებით. კარგი იქნება, თუ ოჯახის თითოეულ წევრს ბავშვი თითო ფრაზით დაახასიათებს: როგორია დედა, რატომ უყვარს კოტე ბაბუ, ან რა აგონდება ქეთო ბებოზე, რას ფიქრობს დიდედის ჩიხტიკოპზე და დიდი ბაბუის ჩოხაზე...

თქვენი კვლევა-თამაში სულ უფრო საინტერესო ხდება, იმდენად საინტერესო, რომ ჩვენი ცნობისმოყვარეობაც გააღვიძა — დაეხმარეთ თქვენს შვილს ასეთი სახით ოჯახის ისტორიის წარმოდგენაში და მისი ნამუშევარი გამოგვიგზავნეთ რედაქციაში.











**ყველაზე საინტერესო და ორიგინალური ნაშრომის ავტორი „დილის" საყმაწვილო ბიბლიოთეკის I წიგნით დაჯილდოვდება.**

# დღეს პატარას დღეობაა!

ოჯახში განსაკუთრებული ფუსფუსია. ვინ სათამაშოების შესარჩევადაა გაგზავნილი, ვინ ბაზარშია, ვინ სამზარეულოში ტრიალებს. ამას გარდა ფსიქოლოგიურადაც ემზადებიან ამ დღეობისთვის: უწინ, როცა ბავშვი ორი-სამი წლისა იყო, მის დაბადების დღეზე უფროსები იკრიბებოდნენ, სუფრას მიუსხდებოდნენ, პატარა ტორტში ჩამაგრებულ სანთელს ჩააქრობდა და ყველაფერი მშვიდად მთავრდებოდა, ახლა კი, სტუმრად მისი მეგობრები მოდიან. რა თქმა უნდა, იუბილარი თანატოლებთან ერთად უფრო მოილხენს და იმხიარულებს, მაგრამ პატარებს ხომ სუფრასთან დიდი ხნით ვერ გააჩერებ, მერე კი აირევიან, ყველაფერს თავდაყირა დააყენებენ და დიდი აურზაურით ჩავლილი დღეობა დედას ნერვების, ბებიას ყმაწვილქალობის დროინდელი ლარნაკის, ბაბუას სათვალის, მამას კი წინა თვეში შეძენილი ტელევიზორის ფასად უჯდება.

მოდი, ამჯერად ბავშვის დაბადების დღისთვის ცოტა სხვაგვარად მოემზადეთ: სამზარეულოში გაზქურასთან ტრიალს ნაირ-ნაირი ტკბილეულის მომარაგება ჯობს, ბავშვებს ხომ დიდებული კერძები ნაკლებად აინტერესებთ. ამას დიდი დრო არ დაჭირდება, მერე კი მთელი ოჯახი შეიკრიბეთ და დაგეგმეთ, როგორი იქნება ეს დღე – დილიდან გვიან საღამომდე. სტუმრებისთვის ათასგვარი გასართობის და თამაშობის მოგონება შეიძლება, იუბილარისთვის – მოულოდნელი სიურპრიზებისა. ნუ დაიზარებთ, თქვენს პატარას დღეობა დღესასწაულად უქციოთ.

იმედია, ამაში ჩვენი რჩევებიც დაგეხმარებათ.



## ვეძებთ საჩუქარს



რაც უნდა ვთქვათ, ბავშვისთვის დღეობაზე ყველაზე მნიშვნელოვანი საჩუქარია, მაგრამ მნიშვნელოვანია ისიც, როგორ მიიღებს ამ საჩუქარს. შეგიძლიათ, ასეთი თამაშიც მოაწყოთ:

წინასწარ მოიფიქრეთ თქვენს სახლში საგნებისა და ადგილების იმგვარი „ჯაჭვი“, რომ ერთიდან მეორესთან მისასვლელ გზაზე ბავშვს რაიმე რთული დაბრკოლება არ ხვდებოდეს. მაგალითად: ფანჯარა, ტელევიზორი, მაგიდა, ლარნაკი, მაცივარი, ბალიში... საბოლოო პუნქტად ისეთი ადგილი უნდა შეარჩიოთ, რომელიც ან ყველაზე მოშორებულია ან მაღლაა და საჩუქარიც იქ უნდა დამალოთ. იუბილარისთვის გადაცემულ მისალოც ბარათში იქნება გამოცანა, რომლის პასუხიც თქვენს მიერ არჩეული პირველი პუნქტია (მაგ., ფანჯარა), პატარა გამოიცნობს, მივა ფანჯარასთან და იპოვის ახალ ბარათს, სადაც წაიკითხავს ახალ გამოცანას შემდეგი პუნქტის მოსაძებნად...

ბარათები ლამაზი და სხვადასხვა ფერისა უნდა იყოს, ამასაც თავისი ხიბლი აქვს. ბარათების ტექსტების შედგენისას გაითვალისწინეთ იუბილარის ასაკი: გამოცანების ნაცვლად შეიძლება გამოიყენოთ თქვენი შვილისთვის ნაცნობი ლექსების სტრიქონები, რომლებშიც გამოტოვებული იქნება გამოსაცნობი ადგილის მიმანიშნებელი სიტყვა, შეგიძლიათ რებუსები შეადგინოთ, ან, სულ პატარებისათვის, ნახატებიც გამოიყენოთ. ამ სასიამოვნო ძიებაში ყველა სტუმარი მიიღებს მონაწილეობას, დახმარებისათვის შეიძლება პრიზებიც მიიღონ.

## კლოუნი



კედელზე მიამაგრეთ ქაღალდი, რომელზეც დახატული იქნება კლოუნის თავი უცხვიროდ. რიგრიგობით ყველა სტუმარი თვალახვეული უნდა მივიდეს ამ ქაღალდთან და კლოუნს ცხვირი მიახატოს: სასაცილო სურათი გამოვა, ცხვირი ხან ნიკაპზე ექნება, ხან შუბლზე, ხან ლოყაზე... ვინც „მიზანში მოახვედრებს“, პრიზიც მისია (ცხვირი შეიძლება პლასტილინისა იყოს და ბავშვებმა პლაკატს მიაკრან).

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ენაბორძიკი

ენაბორძიკი ბავშვთა მეტყველების მოშლის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი ფორმაა. ცნობილია, რომ ბავშვების დაახლოებით 5%-ს მეტყველების ეს პათოლოგია აქვს.

ჯერ კიდევ ბიბლიიდან ვიგებთ, რომ მოსე წინასწარმეტყველი იყო ენაბრგვნილი. ძველი ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს გადმოცემით, ენაბლუ იყო კირენის მეფე ბატი. აქედან მომდინარეობს ენაბორძიკის ერთ-ერთი პირველი სახელწოდება — ბატარიზმი. როგორც პლუტარქე წერს, ენაბრგვნილი ყოფილა ძველი საბერძნეთის ცნობილი ორატორი — დემოსთენე; მან ამ „სენისგან" თავი დიდი შრომითა და ვარჯიშით გაითავისუფლა.

ენაბორძიკის პრობლემით დაინტერესებულნი იყვნენ ჰიპოკრატე, არისტოტელე, პლატონი და ცელსიუსი; ავრელიანეს დროს მის აღმოსაფხვრელად მეტყველებით ვარჯიშებსაც იყენებდნენ.

ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში ენაბორძიკის პრობლემებს იკვლევდა ცნობილი ექიმი-ფიზიოლოგი გალენი, მესამე საუკუნეში ამ პათოლოგიის გამომწვევ მიზეზებს სწავლობდა სელიუს ავრელიანუსი, შემდეგ ტაჯიკი მეცნიერი იბნ-სინა (ავიცენა).

მე-19 საუკუნეში დაიწყო ამ პრობლემის ფართო მეცნიერული შესწავლა ფსიქიატრების, ფიზიოლოგებისა და ფსიქოლოგების მონაწილეობით. ჩაიყარა ის საფუძველი, რომელზეც აგებულია ენაბორძიკის შესახებ თანამედროვე შეხედულებანი. დაგროვილმა ცოდნამ გააღვივა ინტერესი მკურნალობის რადიკალური გზების ძიების მიმართ, რასაც ექსპერიმენტატორები მცდარ და არამეცნიერულ შედეგებამდე მიჰყავდა. 1841 წელს გერმანელმა მეცნიერმა დიფენბახმა წარმოადგინა ენაბორძიკის მკურნალობის ქირურგიული მეთოდი ენის გაკვეთით. მიუხედავად რამდენიმე დადებითი შედეგისა, ექიმი ცოტა ხანში იძულებული იყო თვითონვე ეთქვა უარი მკურნალობის ამ მეთოდზე, ვინაიდან ოპერაცია ხშირად სიკვდილით მთავრდებოდა.

ინტელექტუალურმა გენიოსმა ალბერტ აინშტაინმა გვიან ამოიდგა ენა. იგი ენაბრგვნილი იყო და მშობლები ძალიან განიცდიდნენ შვილის „არასრულფასოვნებას". ოჯახური ლეგენდის მიხედვით, როდესაც პატარა ალბერტის მამამ ჰკითხა მასწავლებელს, რა პროფესიას ურჩევდა მის შვილს, მასწავლებელმა უპასუხა: „ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. თქვენი შვილი არასდროს და არაფერში არ იქნება წარმატებული!"



დემოსთენე



აინშტაინი



ჩერჩილი

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა უინსტონ ჩერჩილი ენას უკიდებდა.

საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომ ენაბორძიკი მარტივი და უმნიშვნელო პრობლემაა. მაგრამ ასე არ არის. ხშირად ეს პათოლოგია მეტისმეტად ტლანქად ვლინდება და შემდგომში ადამიანს სოციალური ადაპტაციის პრობლემებს უქმნის.

ენაბორძიკი ხასიათდება ბგერების და მარცვლების გამეორებით 2-3-ჯერ ან მეტჯერ, მოკლე სიტყვების გამეორებით, ბგერებისა და მარცვლების გაგრძელებით.

ყველაზე ხშირად ეს პათოლოგია აღმოცენდება 2-4 წლის ასაკში. ამ პერიოდში ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული მეტყველების აპარატი. თუმცა ენაბორძიკი შეიძლება დაიწყოს სკოლამდელ, უმცროს სასკოლო ან მოზრდილობის პერიოდშიც. ენაბორძიკის გამომწვევი კონკრეტული მიზეზები დღემდე არ არის დაზუსტებული, თუმცა ყურადღება ექცევა ისეთ მომენტებს, როგორიცაა ოჯახური წინასწარგანწყობა, გადატანილი ინფექციური დაავადებები, ფსიქიკური ტრავმა, სოციალური გარემო, არასწორი აღზრდა, ქალატვინის ტრავმები, ხშირად გასათვალისწინებელია მიბაძვის მომენტიც (ჰბაძავენ უფროსებს, დაძმას და ა. შ.). ენაბორძიკი შეიძლება მიმდინარეობდეს ტალღისებურად (გამწვავება-გაუმჯობესება), სტაბილურად ერთნაირად ან გაუარესებით. ენაბრგვნილ ბავშვებს, როგორც წესი, ინტელექტუალური განვითარების დეფიციტი არ აღენიშნებათ, მაგრამ მეტყველების დარღვევის გამო მათი სოციალური ადაპტაცია გართულებულია, უჭირთ თავიანთი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენა. ხშირად ასეთ ბავშვებს უყალიბდებათ ხასიათის ნევროტული ტიპი, ან აგზნებულები არიან, ან პირიქით, ზედმეტად მორცხვები, უჩნდებათ არასრულფასოვნების კომპლექსი.

ამდენად, აუცილებელია რომ მშობელმა, ენაბორძიკის დასაწყისშივე მიაქციოს ყურადღება ამ პრობლემას და მიმართოს ექიმ-ნევროლოგს. საჭიროა თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში დაავადების გამომწვევი მიზეზების დადგენა და ოპტიმალური თერაპიის შერჩევა.



მშობლებს შეგვიძლია შემდეგი რეკომენდაციები მივცეთ: 2-4 წელი კრიტიკული პერიოდია ექსპრესიული მეტყველების ჩამოყალიბების და, შესაბამისად, ენაბორძიკის აღმოცენებისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ პერიოდში ზომიერი მეტყველებითი დატვირთვა (არ არის სასურველი მეტყველების განვითარების ხელოვნურად დაჩქარება, გადაჭარბებული მოთხოვნები ბავშვის მიმართ). სწორი აღზრდა (არასწორია ზედმეტად მკაცრი ან ზედმეტად ლმობიერი აღზრდა) ერთ-ერთი გარანტია იმისა, რომ ბავშვს მსგავსი პრობლემები არ შეექმნება.

ენაბორძიკის შემთხვევაში ბავშვს ყურადღება არ უნდა გავუმახვილოთ მეტყველების დეფექტზე, არ უნდა შევუსწოროთ ნათქვამი. მშობლები უნდა ესაუბრებოდნენ ნელა, რათა მან შეძლოს თავისი მეტყველების კორექცია.

ხშირად სასარგებლოა ბავშვის გადაყვანა ჩურჩულით ლაპარაკზე, ვინაიდან ამ დროს მეტყველება უმჯობესდება. ზოგ შემთხვევაში მიმართავენ „სიჩუმის რეჟიმს" — ბავშვის მეტყველების ინტენსივობა მინიმუმამდე დაჰყავთ (გარკვეული პერიოდის განმავლობაში). ზოგჯერ ენაბორძიკი ძნელად ემორჩილება მკურნალობას, ხშირად ახასიათებს რეციდივები, საჭირო ხდება სამკურნალო ღონისძიებების განმეორებით ჩატარება. ასეთ დროს სასურველია ფსიქოლოგის კონსულტაცია განსაკუთრებით ქრონიკული ენაბორძიკის შემთხვევაში და მოზრდილ ასაკში. ზოგჯერ მეტყველების გამოსწორება არ ხერხდება.

ამდენად, საჭიროა ყველა კონკრეტულ შემთხვევაში დროულად მივმართოთ სამკურნალო ღონისძიებებს. მშობლებს და პაციენტებს ვურჩევთ მოთმინებით მიუდგნენ თავად მკურნალობის პროცესს.

ლექსო მინდაძე *ექიმი-ნევროლოგი*

## ამინდის უტყუარი პროგნოზი
(ბებიებისგან)



— თუ უქარო ამინდში მილიდან კვამლი ქვემოთ, მიწისკენ ეშვება, ითოვებს; თუ კვამლი ზევით მიემართება, ყინვა იქნება;

— თუ ყვავი დილით სახურავზე ან ხის კენწეროზე ზის და ჩხავის, მოსალოდნელია ქარბუქი;

— მზის ჩასვლა ღრუბლებში თოვლს მოასწავებს;

— თუ კატა თათებით სახეს იფარავს, ქარბუქი იქნება;

— ღრუბელი, რომელიც ქარის საწინააღმდეგოდ მიემართება, თოვლს მოიტანს;

— ხშირი ვარსკვლავი სითბოს და თოვლის მაჩვენებელია, იშვიათი კი — ქარბუქის. კაშკაშა და ხშირი ვარსკვლავები ყინვიან ამინდს გვიქადის;

— თუ ქარმა სამხრეთიდან დაუბერა — დიდი ყინვებია მოსალოდნელი;

— თუ ძაღლი მოკუნტული წევს — სიცივეა მოსალოდნელი, თუ მიწაზეა გართხმული — სითბო;

— ღამე მამლის ყივილი ამინდის შეცვლას მოასწავებს;

— ბარაქიანი ბარდნა სითბოს მოიტანს;

— თუ ფანჯრები „ოფლიანობს" — სითბო იქნება;

— ყინვისას თუ ტყე შრიალებს — დათბება.











## ხალხური რეცეპტები გაციებისას



**ხველებისათვის** კარგია ერთ ჭიქა თბილ რძეში ჩაყრილი სოდის დალევა. ვისაც არ უყვარს რძე, სოდის ხსნარით ინგალაციის გაკეთება შეუძლია — 1 ს.კ. სოდა 1 ლ მდუღარე წყალში.

1 ჩ.კ. გამხმარ თეთრი აკაციის ყვავილს დავასხათ 1 ჭიქა მდუღარე წყალი და დავაყენოთ 30-40 წუთით. შემდეგ გადავწუროთ და მივიღოთ 1 ს.კ. 3-ჯერ დღეში.

**სურდოს** დროს შეიძლება სოდიანი წყლის ჩაწვეთება ცხვირში.

**ყელის ტკივილისას** 2 ჩ.კ. სოდა გახსენით 1 ჭიქა თბილ წყალში და გამოივლეთ 5-6-ჯერ დღეში.

— გნებავთ თავიდან აიცილოთ **სურდო?** — ამისათვის რაც შეიძლება ხშირად გამოირეცხეთ ცხვირხახა მარილიანი წყლით (ნახევარი ჩ.კ. მარილი ერთ ჭიქა თბილ წყალზე). ასეთი მარილიანი ხსნარი წმენდს ყელს და სახმო იოგებს. ამით თავიდან აიცილებთ გაიმორიტსაც.





## საუბარი ყვავილების ენით

ყვავილების ენა აღმოსავლეთში დაიბადა. მას ქმნიდნენ ქალები, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ საზოგადოებასთან ურთიერთობას და ნატიფი სახე შავი ჩადრის ქვეშ ჰქონდათ დამალული; ისინი ყვავილებს ანდობდნენ თავიანთ გრძნობა-განწყობილებას. წარმოქმნილი ასოციაციები ნელ-ნელა სიმბოლოებად იქცეოდა და მალე ყვავილების ენაზე საუბარიც კი გახდა შესაძლებელი. შეიქმნა სპეციალური „ლექსიკონებიც“, მაგალითად, იელი ნიშნავდა მარტოობით გამოწვეულ დარდს, სუმბული — შეხვედრის დღეს, ყვავილების რაოდენობით შეხვედრის საათს აღნიშნავდნენ. მე-14 საუკუნეში ყვავილების ენამ საფრანგეთში შეაღწია, შემდეგ ინგლისში გავრცელდა და ასე ნელ-ნელა მთელს ევროპას მოედო. ლომის-ხახა დიდების სიმბოლოა, ღიღილო — ნდობის, ზიზილა — თანხმობის, შროშანა და იასამანი — განახლების, შროშანი — სისპეტაკის, მიხაკი — ვნების. ოლეანდრის ტოტი ამბობს: „მოხიბლული ვარ შენით“; ყვითელი ვარდი კითხულობს: „წრფელია სიყვარული?“ ვარდის ბუჩქის ტოტი უპასუხებს — „არა“, ხოლო ვარდის ერთი ფოთოლი — „დიახ“.

დროთა განმავლობაში გაჩნდა ახალი სიმბოლოები: მაგალითად, ევროპის ყველა ქვეყანაში იისფერი მეგობრობას, ფუფუნებას, ღირსებას ნიშნავს, იაპონიაში კი — დარდს, ტკივილს. ინგლისელებისათვის კესანე სიყვარულს ნიშნავს, რუსეთში — ხსოვნას. ამგვარი მრავალფეროვნება მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ყვავილს ყველა ვითარებაში შეუძლია თავისი სათქმელი თქვას. მნიშვნელობა აქვს შეფერილობასაც: წითელი ფერი ამბოხის, სიცოცხლის, სიყვარულის სიმბოლოა; ვარდისფერი — ახალგაზრდობის, ყვითელი — ქორწინების, ბედნიერების, ახალგაზრდობის, მოხუცებულთა მიმართ პატივისცემის, მზის; მწვანე იმედია და მშვიდობა; ლურჯი — ერთგულება, ნდობა; შავი — გლოვა და, ამავე დროს, ზეიმურობა; თეთრი — სისუფთავე, უმანკოება, სისათუთე. ვარდი, თეთრი იასამანი, ხასხასა ქრიზანთემა, მიხაკი, გლადიოლუსი, კალლა, შროშანი — სადღესასწაულო, საიუბილეო ყვავილებია. სულაც არ არის აუცილებელი პატარძლის თაიგული თეთრი იყოს, აქ მთავარი ყვავილთა ჰარმონიაა. შეიძლება ყვავილები კაცებსაც ვუძღვნათ — ბომბორა, ხასხასა და მაღალღეროიანი.



## ოთახის ყვავილების მოვლა

ოთახის ყვავილების უმეტესობას გრილი ადგილი უყვარს და კაშკაშა სინათლეს ვერ იტანს. თუნდაც ხშირად ვრწყავდეთ, საჭიროა კვირაში ერთხელ პულვერიზატორის საშუალებით ფოთლებისა და ღეროების დანამვა, ოღონდ არა კოკრებისა და ყვავილების. ყოველდღიური რწყვა მცენარეებს ფესვებს ულპობს და ყვავილებს ღუპავს. გაზაფხულზე ყვავილები ოთახის ტემპერატურის წყლით უნდა მოირწყას, ზამთარში კი — უფრო თბილით. წყალი ონკანის უნდა იყოს, მაგრამ — ნადგამი, რათა ქლორი აორთქლდეს. კაქტუსები ზამთარსა და გაზაფხულზე თვეში ერთხელ უნდა მოირწყას, რადგან მას ბევრი ტენი არ სჭირდება, ოღონდ ყურადღება მიაქციეთ, რომ მიწა ძალიან არ გამოშრეს.



ფიკუსს კი უხვი სინათლე და ჰაერი სჭირდება. ზაფხულში მისი მორწყვა და დასხურება ყოველდღიურადაა საჭირო, მიწა კი გაზაფხულზე ოთხ წელიწადში ერთხელ უნდა გავანოყიეროთ.

ოთახის მცენარეებს ფოთლები უნდა მოვჭრათ დეკემბრიდან მარტის ჩათვლით, განოყიერება კი მარტიდან აგვისტოს ჩათვლითაა სასურველი. ზამთარში განოყიერება მიზანშეწონილი არ არის. მორწყვა ზამთარში დილის საათებში ჯობს, ზაფხულში კი — საღამოობით. გადარგვა საჭიროა გაზაფხულზე, ორსამ წელიწადში ერთხელ. თუ ყვავილი „თავს ცუდად გრძნობს“ ქოთანში, რომელიც „ეპატარავება“, მისთვის უფრო დიდი ქოთანი შეარჩიეთ; გადარგვისას კარგად დაათვალიერეთ მცენარის ფესვები და დაზიანებული ადგილები მჭრელი დანით მოაჭერით. ახლად გადარგული მცენარე უნდა მოირწყას თბილი წყლით; კაქტუსებს გადარგვის შემდეგ მხოლოდ ერთი კვირის თავზე ვრწყავთ, რათა ხელი არ შევუწყოთ ფესვების ლპობას. გახსოვდეთ, ზამთრობით კაქტუსების მტერი ნესტია. გადარგვის შემდეგ სასურველია მცენარე ათი დღის განმავლობაში არ დავდგათ მზიან ადგილას.





# ვიტამინების ყვითელი „თაიგული“

ძველ საბერძნეთში ქაცვის ნაყოფს ოლიმპიური თამაშების წინ აჭმევდნენ ცხენებს ფიზიკური ძალის მოსამატებლად და საერთო მდგომარეობისა და გარეგნული იერის გასაუმჯობესებლად. ქაცვისა და მისგან დამზადებული ზეთის ფასი სლავებმაც იცოდნენ. „წითელ ზეთს“ ისინი იყენებდნენ სამკურნალოდ და ჭრილობების შესახორცებლად. ქაცვის ღირსებაა ისიც, რომ გამოიყენება როგორც ნაყოფი, ფოთლები, ისე ფესვებიც. იგი გაჯერებულია ვიტამინების მთელი „თაიგულით“.

**გთავაზობთ ქაცვის გამოყენების ხალხურ მეთოდებს:**

1. ქაცვის წვენში არეული თაფლი არაჩვეულებრივი საშუალებაა ხველების, ბრონქიტის სამკურნალოდ და მკერდში ტკივილების გასაყუჩებლად: ნახევარ ჭიქა ქაცვის წვენში ავურიოთ 1 სუფრის კოვზი თაფლი და ვხარშოთ 5 წუთის განმავლობაში. მივიღოთ 1 სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში.

2. ქაცვის ფოთლები და ტოტები მარგებელია კუჭის აშლილობისას: ერთ სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ პროდუქტს დავასხათ ერთი ჭიქა ცივი წყალი და ვადუღოთ 5 წუთი; შემდეგ გავაჩეროთ ნახევარ საათს და გავწუროთ. მივიღოთ ერთ მიღებაზე.

3. კანის ალერგიის, ტროპიკული წყლულისა და მზის სხივებით დამწვრობის სამკურნალოდ ამზადებენ ნაყოფის ნახარშს: 20 გ-ს ასხამენ ერთ ჭიქა წყალს. სვამენ დღეში 100 გრამს; იყენებენ საფენებისთვისაც.

4. ქაცვის ზეთს ხმარობენ დამწვრობისას და კიდურების მოყინვისას: ზეთი უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ დაზიანებულ ადგილებში.

5. ფარინგიტის, სურდოს, ლარინგიტისა და ანგინის დროს ერთი კვირის განმავლობაში ყოველდღიურად დღეში ერთხელ ან ორჯერ ცხვირის ნესტოები და ყელის ლორწოვანი გარსი ქაცვის ზეთით დასველებული ბამბის ტამპონით უნდა გავიწმინდოთ.

6. რევმატიზმის, ნიკრისის ქარის და შაქრიანი დიაბეტის დროს იხმარება ქაცვის ფოთლების ნაყენი (10 გ ერთ ჭიქა წყალზე).



შემოგთავაზებთ საოჯახო პირობებში ქაცვის ზეთის დამზადების რეცეპტს.

ნაყოფისაგან გამოწურეთ წვენი და გამოიყენეთ თქვენი სურვილისამებრ, დარჩენილი ჩენჩოსაგან კი ზეთი ასე დაამზადეთ: ჩენჩო გაატარეთ საკეპ მანქანაში, მოათავსეთ ცეცხლგამძლე შუშის ქილაში და დაასხით საჭმელი ზეთი — 1 კგ 1 კგ ჩენჩოზე. ქილა შედგით ჰაერღუმელში და გააჩერეთ ერთ საათს 60° ტემპერატურაზე. მიღებული მასა გაწურეთ და დაუმატეთ ახალგამოწურული ჩენჩო. ეს პროცესი გაიმეორეთ 3-6-ჯერ. მიიღებთ მაღალი კონცენტრაციის, წითელ-ნარინჯისფერ ქაცვის ზეთს.

ამის შემდეგ მასა კაპრონის ბადეში გადავწუროთ და ჩავასხათ ყვითელი ფერის ჭურჭელში, რომელსაც თავი კარგად ეხურება.

ზეთის გამოყენება შეიძლება ერთი წლის განმავლობაში.

## მურაბა

**მასალა: 1 კგ ქაცვი; 1,5 კგ შაქარი; 0,8 ლ წყალი.**

გადარჩეულ და გარეცხილ ნაყოფს დავასხათ ვაჟინი (სიროფი) და 3-4 საათით დავდგათ ცივ ადგილას. შემდეგ ვაჟინი გადმოვასხათ, ავადუღოთ და გავაგრილოთ. გრილი სიროფი კვლავ დავასხათ ნაყოფს და ნელ ცეცხლზე მოვხარშოთ.

## კომპოტი

**მასალა: 1 კგ ქაცვი; 1 ლ წყალი; 0,9 კგ შაქარი**

კომპოტის მოსამზადებლად ქაცვის ნაყოფი მაგარი უნდა იყოს. გარეცხილი ნაყოფი ჩავყაროთ ქილებში და დავასხათ ცხელი შაქრის სიროფი. ქილების სტერილიზაცია ხდება ცხელ წყალში.







## რჩევები დიასახლისებს

თუ გინდათ, რომ ჭარხალმა ხარშვისას ფერი შეინარჩუნოს — წყალში ცოტა ძმარი გაურიეთ.

შენახულ ფქვილს ან ბურღულეულს მავნებლები არ გაუჩნდება, თუ შიგ ერთ კბილ ნიორს ჩააყოლებთ.

კვერცხს თუ მაღალ ცეცხლზე მოხარშავთ, გული დიდხანს ამ მოიხარშება.

თუ მწვანილი (კამა, ოხრახუში, ქინძი) მოჭკნა, 15 წუთით ჩადეთ წყალში, რომელსაც 1 ჩ.კ. ძმარი ექნება, შემდეგ კი წყალი გადაავლეთ.

ბოსტნეულის ხარშვისას ცხელ წყალში ცოტა (ნახევარი ჩ.კ.) შაქარს თუ ჩაყრით, უკეთესი გემო ექნება.

ხახვი არასოდეს მიგეწვებათ და შეინარჩუნებს ოქროსფერს, თუ შეწვამდე ფქვილში ამოავლებთ.

თევზის წმენდა შრომატევადი პროცესია და თუ გინდათ საქმე გაიიოლოთ, გაყინული თევზი 30 წუთით მდუღარეში მოათავსეთ. ქერცლი ასე უფრო იოლად მოცილდება.

სანამ ახალი თევზის წმენდას დაიწყებთ, წაუსვით მსხვილი მარილი — ხელიდან არ გაგისხლტებათ და საქმეც წინ წავა.

## ფარშირებული ბატი ვაშლითა და სტაფილოთი



**მასალა:** 1 ბატი, შავი წიწაკა, მარილი, 2 ვაშლი, 500 გ ხახვი, 1 ს.კ. ლუდი, 250 გ ნებისმიერი თეთრი ღვინო, 300 გ სტაფილო, 300 გ კარტოფილი.

**მომზადების წესი:**

ბატს წაუსვათ მარილი და წიწაკა. დავდოთ ტაფაზე გულაღმა, დავასხათ 125 მლ ცხელი წყალი და შევწვათ ნელ ცეცხლზე თავდახურულ ჭურჭელში.

გავაცხელოთ ღუმელი 220$^{0}$-მდე. დავასხათ ქარონაზე შემწვარი ბატის წვენი და გადავდგათ გვერდზე.

ვაშლი და 4 თავი ხახვი დავჭრათ კუბიკებად. ავურიოთ დაჭრილი მასალა და დავტენოთ ბატი, დავუმატოთ მარილი და წიწაკა. დატენილი ბატი შევდგათ ჰაერღუმელში 90 წუთით, ზემოდან კი წავუსვათ ლუდი და წვენი, რომელიც ქარონაზეა.

დავჭრათ სტაფილო გრძლად, დარჩენილი ხახვი და კარტოფილი 8 ნაჭრად სიგანეზე — ბოსტნეული ჩავშუშოთ ბატის ქონში და მივუწყოთ შემწვარ ბატს ლანგარზე.

## მანდარინის შარლოტა



**მასალა:** 3 კვერცხის გული, 239 გ შაქარი, მარილი (მწიკვი), 60 გ ფქვილი, 200 გ ჟოლოს ხილფაფა (შეიძლება სხვაც), 1 ფორთოხლის ცედრა, 30 მლ ფორთოხლის წვენი, 70 მლ მანდარინის წვენი, 160 მლ თეთრი ღვინო, 20 გ ჟელატინი, 425 მლ ნაღები, 3 მანდარინი, 20 მლ ლიქიორი, 1 ს.კ. წვრილად დაჭრილი ნიგოზი ან ნუში.

**მომზადების წესი:**

კვერცხის ცილა ავთქვიფოთ, ცალკე ავსრისოთ გულები შაქართან ერთად, დავუმატოთ ათქვეფილი ცილა და ფქვილი. ეს მასა გადავიღოთ ქაღალდ (კალკა) დაფენილ ტაფაზე (ქარონაზე) და გამოვაცხოთ (10 წუთი 230$^{0}$-ზე).

ჩაის ტილოს მოვაყაროთ შაქარი და გადმოვაპირქვავოთ მასზე გამომცხვარი ბისკვიტი. მოვაცილოთ ქაღალდი, წავუსვათ ჯემი, გადავახვიოთ და დავჭრათ 7 მმ. სისქის ნაჭრებად.

ავიღოთ გამჭვირვალე ჯამი და რულეტის დაჭრილი ნაჭრებით ფსკერი და გვერდები ამოვავსოთ. ცალკე წამოვადუღოთ ერთმანეთში არეული მანდარინისა და ფორთოხლის წვენი, ღვინო, ცედრა, შაქარი და შევურიოთ 2 კვერცხის გული ჟელატინთან ერთად.

ავთქვიფოთ 300 მლ ნაღები და შევურიოთ გაციებულ კრემს. ეს ყველაფერი გადავიტანოთ ჯამში (მოვიტოვოთ ცოტა კრემი).

შევათბოთ ერთმანეთში არეული 70 გ შაქარი და ლიქიორი, ჩავაწყოთ შიგ მანდარინი, გავაციოთ და გადავიტანოთ კრემზე, ზემოდან კი დარჩენილი კრემი წავუსვათ.

ჯამში კრემი დავფაროთ მოტოვებული რულეტის ნაჭრებით და მთელი ღამით დავტოვოთ მაცივარში. გამოღების შემდეგ ჯამი გადმოვაბრუნოთ შესაბამისი სიდიდის თეფშზე (ან ლანგარზე), ავთქვიფოთ 125 მლ ნაღები 10 გრ შაქართან ერთად და მოვუწყოთ ნამცხვარს გვერდებზე (შეგიძლიათ ნაღებს დაჭრილი ნიგოზი ან ნუში მოაყაროთ).

## პატარა გენიოსის მძიმე ცხოვრება



